პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 190 (13006) | შაბათი, 15 აგვისტო, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ყამირი კომუნიზმისათვის შრომობს

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრები ცელინოგრადის ოლქის მშრომელებთან

სადგური ჟანისპაი (ცელინოგრადის ოლქი), 13 აგვისტო. (პრეს-ჯგუფი). დღეს ადრე დილით აქ ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. მასთან ერთად ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. პოლიანკოვი.

უყირის მხარეში მოგზაურობის დროს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს ახლავან უაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ი. იუსუპოვი, უაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ა. კუნაევი, პარტიის უყირის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. კოლმიეცი, სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ვ. მაცკევიჩი.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი წავიდა ესილის საწარმოო სამმართველოს საბჭოთა მეურნეობებში. უყირის პურის ხარვეზები განუმეორებელია თავისი მიწიერი სილამაზითა და განსაცვიფრებელი სიდიადით. თვალუწვდენელი პურის უანები გადაშლილია ჰორიზონტამდე. დილის მზის სხივებში ოქროსფრად ლივლივებს უანა. ჰაერში ტრიალებს მწიფე თავთავის სურნელება.

ყამირი გულუხვად აანაზღაურებს მიწათმოქმედის შრომას. კარგ მოსავალს აძლევს. დაუჯერებელია რომ სულ რამდენიმე ხნის წინათ აქ ველური ვაცოწვერას ტრამალი იყო, საუკუნეობით ხელუხლებელი იყო მიწის სიმდიდრე. ახლა ესილის საწარმოო სამმართველოში 18 საბჭოთა მეურნეობაა, რომლებმაც აითვისეს ნახევარ მილიონ ჰექტარზე მეტი ყამირი და უკვე სამშობლოს მისცეს 140 მილიონი ფუთი მარცვალი. წელს სამმართველოს მეურნეობებმა ხორბალი დათესეს 416 ათას ჰექტარზე. მიწათმოქმედები პირობას დებენ სამშობლოს ბელღებში შეინახონ 35 მილიონი ფუთი პური, უმთავრესად ხორბალი.

საუცხოო ხორბალია საბჭოთა მეურნეობა „ჟანისპაიში", რომლის უანები იწყება რკინიგზის ეკალსადგურ და გადაჭიმულია ათობით კილომეტრზე. ნიკიტა სერგეევიჩ უთხრეს, რომ ამ მეურნეობაში ათხუთმეტ ათასი ჰექტარი ყამირი. 1956 წელს საბჭოთა მეურნეობამ სახელმწიფოს მისცა 9,7 მილიონი ფუთი მარცვალი — ჰექტარზე საშუალოდ 8,4 ცენტნერი, ხოლო წელს ასფუთიან მოსავალს მოელიან. სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გეგმა — 1.350 ათასი ფუთი — დიდი გადაჭარბებით შესრულდება.

სიწუწარეა ამ დღეებში უანებში. მაგრამ გავა ერთი-ორი კვირა და ტრამალი აიკსება ათასობით მანქანის გუგუნით — დაიწყება მკა. ახლა კი, თითქოს შეტევის წინ, მექანიზატორებმა ჩამწკრივეს ნოსავლის ასაღები აგრეგატები პურის მარხვების ნაპირას.

უხვი მოსავლის მოსაწევად ფართო გატანის ტექნიკას გამოიყენენ საბჭოთა მეურნეობა „მოსკოვსკის" მე-8 ბრიგადის მეუამირეები.

ყველაფერი მზად არის მკისათვის, — უთხრა ნ. ს. ხრუშჩოვს ბრიგადირმა გ. ფ. შუტკინმა, რომელიც მიეგება ძვიფას სტუმარს. ტექნიკა შეკეთებულია და როგორც კი პური დამწიფდება, მკას დავიწყებთ.

ბრიგადირი გ. ფ. შუტკინი ესილის რაიონის ერთ-ერთი პირველი მეუამირეა. სხვა ახალ მოსახლეებთან ერთად იგი ხნავდა ვაცოწვერას ტრამალებს, აშენებდა საბჭოთა მეურნეობის დაბას. ახალგაზრდა კომკავშირელი იყო შუტკინი ამ მხარეში, რომ ჩამოვიდა. აქ გაიარა ცხოვრების დიდი სკოლა, დიდი ბრიგადის კოლექტივის ხელმძღვანელი გახდა.

ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრება ყამირის დამპყრობთ, ეკითხება ბრიგადირს, თუ როგორ მიდის ბრიგადის საქმე, რამდენი წლისაა იგი, დიდი ხანია მუშაობს საბჭოთა მეურნეობაში?

— ახლა 29 წლისა ვარ. საბჭოთა მეურნეობა „მოსკოვსკიში" 1956 წლიდან ვმუშაობ, აქ დავქორწინდი, ყამირი მშობლიური კერა გახდა, — უპასუხებს ამხ. შუტკინი. — ბრიგადა პურს აიღებს 4.198 ჰექტარ ფართობზე. ვფიქრობთ თვითეულ ჰექტარზე გავლენწოთ საშუალოდ 18 ცენტნერი მარცვალი.

ბევრია ასეთი მშრომელი როგორიც ვიორგი შუტკინია საბჭოთა მეურნეობა „მოსკოვსკიში", რომელსაც ეს სახელი უწოდეს მისი დამაარსებლების, ახალგაზრდა მოსკოველების პატივსაცემად. ეს მათი ხელით გარდაიქმნა ტრამალი. ეს მათ მოიწიეს ახლა პურის უხვი მოსავალი, გულს რომ ახარებს. თვალუწვდენელია „მოსკოვსკის" უანები. აქ მარტო მარცვლოვან კულტურებს უკავია 31 ათასზე მეტი ჰექტარი. მათ შორის 28,5 ათასი ჰექტარი — ხორბალს. სადაც არ უნდა გაიხედოთ, ყველგან ხორბალია — „სარატოვული-29", „აკმოლინკა" და სხვა ჯიშები.

— ჩვენმა მეუამირეობის მეურნეობამ, — თქვა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ა. ვ. გაურლიკმა, — სახელმწიფოს უკვე მისცა დაახლოებით 10 მილიონი ფუთი პური, უხვი მოსავალი მწიფს წელს საბჭოთა მეურნეობის უანებში. გეგმით ჩვენი სამშობლოს ბელღებში უნდა შეინახოთ 1.760 ათასი ფუთი პური. „მოსკოვსკის" მეუამირეები ბევრად მეტს ჩაბარებენ.

კარაკოლსკის საბჭოთა მეურნეობის უანების საზღვარზე ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდა საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ლ. ი. გოლდბერგი. რვა წელია ეს ენერგიული ქალი, კვალიფიციური აგრონომი ხელმძღვანელობს საბჭოთა მეურნეობას, რომელიც 1954 წელს შემოდგომაზე დაარსდა. აქ ხორბალი უთესიათ 24 ათას ჰექტარზე.

— ჩინებული პური გაქვთ, — თქვა ნიკიტა სერგეის-ძემ. რამდენს ვარაუდობთ მიიღო ჰექტარზე?

— სულ ცოტა ას ფუთს, — უპასუხა ლ. ი. გოლდბერგმა. — დავიანგარიშეთ და ვფიქრობთ წლევანდელი მოსავლის პირობებში შეიძლება სახელმწიფოს ჩავაბაროთ 2.200 ათასი ფუთი პური. ჩვენი კოლექტივი დარწმუნებულია, რომ შეასრულებს ამ ვალდებულებას.

ლეონა იაკობის ასული გატაცებით ლაპარაკობს საბჭოთა მეურნეობის, მისი ადამიანების შესახებ, იგრძნობა, თუ რამდენად მტკიცედ, გულით არის დაკავშირებული, იგი ამ მხარესთან, რა ძვირფასია მისთვის ყოველივე, რაც მეუამირეთა შრომით შექმნილა.

— ყოჩაღ, ლეონა იაკობის ასულო, ბარაქალა თქვენ! — უთხრა ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოთხოვებისას.

გზა საბჭოთა მეურნეობა „ბუზულუკუსკის" უანებში მიდის. საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ნ. ნ. სიმახინმა და პარტკომის მდივანმა ი. ა. კოსიანენკომ ნიკიტა სერგის-ძეს გააცნეს მეურნეობა, აჩვენეს ნათესები. საბჭოთა მეურნეობაში მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურები წელს დათესილია 28.127 ჰექტარზე, აქედან ხორბალი — 27.047 ჰექტარზე. ამ მეურნეობას სამართლიანად შეიძლება ეწოდოს ხორბლის მეურნეობა. ბოლო რვა წლის მანძილზე საბჭოთა მეურნეობამ სახელმწიფოს მისცა 7.928 ათასი ფუთი მარცვალი — თითქმის მილიონი ფუთი წელიწადში. ამ წლების მანძილზე მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე არის 8,2 ცენტნერი, ხოლო ყველაზე უფრო კეთილნაყოფიერ 1958 წელს მიიღეს ჰექტარზე საშუალოდ 14.1 ცენტნერი.

მაგრამ ასეთი მოსავალი, როგორც წელს, ამბობენ მეუამირეები, ჯერ არ ყოფილა. სპეციალისტები აცხადებენ, რომ ხორბალი ჰექტარზე მოგვცემს საშუალოდ სულ ცოტა 16 ცენტნერ მარცვალს.

პირველი ბრიგადის საველე ბანაკში, სადაც ნათესების დათვალიერების შემდეგ მივიდა ნ. ს. ხრუშჩოვი, მას გულთბილად შეხვდნენ მექანიზატორები, მუშები. მათ შორის ბევრია ახალგაზრდობა. ნიკიტა სერგის-ძე გაეცნო მათ. იკითხა. რამდენი ხანია, რაც ყამირზე ჩამოვიდნენ, როგორ მოიწყვნენ, ბრიგადირ გ. გ. ზავადსკის გამო ჰკითხა, თუ როგორ მოემზადა მისი ბრიგადა მკისათვის, რამდენ დღეში აპირებენ მოსავლის აღების დამთავრებას.

— ხუთ დღეში მოვმკით პურს და 13 დღეში ავიღებთ და გავლენწავთ, — უპასუხა გ. გ. ზავადსკიმ.

— ეს კარგია, — შენიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა და იქვე ჰკითხა დირექტორს: რამდენ დღეში დაამთავრებს საბჭოთა მეურნეობა მოსავლის აღებას?

— ვფიქრობთ ოც დღეში მოვრჩებით, — უპასუხა ნ. ნ. სიმაკინმა.

გულითადი, მეგობრული საუბრის შემდეგ, რომელიც საველე ბანაკში გაიმართა ნიკიტა სერგის-ძემ ბრიგადის მექანიზატორთა თხოვნით სურათი გადაიღო მათთან.

საღამოს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ჩავიდა ყამირის მხარის დედაქალაქ ცელინოგრადში.

ცელინოგრადი, 14 აგვისტო. (საკდესი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი შორტანდიში ეწვია საბჭოთა კავშირის მარცვლეულის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს. ეს ჩვენებრივი სამეცნიერო დაწესებულება როდია, ინსტიტუტის საცდელ მეურნეობებს 40 ათასი ჰექტარი მიწა აქვს, აქედან 30 ათას ჰექტარზე მეცნიერები ცდებს ახორციელებენ. ინსტიტუტი წყვეტს ყამირელთათვის დიდმნიშვნელოვან პრობლემებს. ასეთია ახალი ჯიშების სასოფლო-სამეურნეო კულტურების შექმნა, ნიადაგის დამუშავების უფრო პროგრესული ხერხების შემუშავება. 34 ლაბორატორიაში მუშაობს 300-ზე მეტი მეცნიერი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა დაიარა ინსტიტუტის საცდელი მეურნეობის უანები. მეცნიერებმა მიიწვიეს ნიკიტა სერგის-ძე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოფენის დასათვალიერებლად. შემდეგ ინსტიტუტის კლუბში ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა მეცნიერთა კოლექტივს.



შახტის ჭაურის გაყვანის სიჩქარის ახალი მსოფლიო რეკორდი

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მხურვალედ მიულოცეს დონეცკის შახტს გამყვანი ტრესტის № 4 საშენებლო სამმართველოს გვირაბგამყვანების დიდი გამარჯვება — შახტის ჭაურის გაყვანის უმაღლესი ტემპის მიღწევა მსოფლიოში. „პროლეტარული — ორმა" შახტის გვირაბგამყვანთა მიღწევა, ნათქვანია მისალმებაში, დიდმნიშვნელოვანი წვლილია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დარწმუნებული არიან, რომ საბჭოთა კავშირის შახტმშენებლები, გამოიყენებენ რა დონეცკელ გვირაბგამყვანთა გამოცდილებას, აგრეთვე მშენებლობის სხვა მოწინავე მეთოდებს, კიდევ უფრო გაზრდიან შახტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ტემპს, დაიჩქარებენ ქვანახშირის ამოღების ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებას.

დონეცკის ოლქის „პროლეტარული — ორმა" შახტის ვერტიკალური ჭაურის გამყვანებმა, დადგნენ რა მეშახტის დღის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს. ივლისის 31 სამუშაო დღის განმავლობაში გაიარეს და ბეტონით გააშაგრეს 6,2 მეტრი დიამეტრის 390,1 მეტრი ჭაური და დაამყარეს შახტების ვერტიკალური ჭაურების გაყვანის სიჩქარის ახალი მსოფლიო რეკორდი.

ერთი გვირაბგამყვანის შრომის ნაყოფიერებამ შეადგინა ცვლაში მზა ჭაურის 4,3 კუბური მეტრი, ანუ სამჯერ მეტი დონეცკის ოლქის შახტების ჭაურების გაყვანის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით. ერთი მეტრის თვითღირებულება შემცირებულია 15 პროცენტით და ერთი თვის განმავლობაში დაზოგილია 200 ათასზე მეტი მანეთი. მიღწეული ტემპი შესაძლებლობას გახდის ჭაურის გაყვანა 9 თვეში დამთავრდეს და იგი საექსპლოატაციოდ გადაეცეს მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს. გაყვანის ადრინდელ ტემპთან შედარებით ამ მოცულობის სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო იქნებოდა სულ ცოტა ორნახევარი წელი. (საკდესი).



მიფრინავს „კოსმოსი-37"

საკდესის ცნობა

1964 წლის 14 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გაეშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-37".

თანამგზავრზე დ-დგმულია სამეცნიერო აპარატურა, რაც განკუთვნილია იმისათვის, რომ განაგრძოს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის დაწყებითი პერიოდი — 89, 45 წუთი;
— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 300 კილომეტრი;
— მინიმალური მანძილი (პერიგეა) — 205 კილომეტრი;
— ორბიტის დახრილობის კუთხე ეკვატორის სიბრტყის მიმართ — 65 გრადუსი;

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის:

— რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,995 მეგაჰერცი სიხშირით;
— რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის;
— რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი აწარმოებს მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.

გულითადი მილოცვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიკოიანმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად მიულოცეს კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს კიმ ირ სენს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ცოი ენ გენსა და მთელ მოძმე კორეელ ხალხს ეროვნული დღესასწაული — კორეის განთავისუფლების 19 წლისთავი.

იმ ხნის განმავლობაში, რაც საბჭოთა არმიის მიერ კორეის განთავისუფლების შემდეგ გავიდა, აღნიშნულია დეპეშაში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოპოვებულია დიდი წარმატებანი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

კორეის განთავისუფლების 19 წლისთავის დღეს საბჭოთა კავშირის მშრომელები შრომისმოყვარე და მამაც კორეელ ხალხს უსურვებენ შემდგომ წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში, მის სამართლიან ბრძოლაში სამხრეთ კორეიდან ამერიკის ჯარების გაყვანისათვის, სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის (საკდესი).

საზეიმო კრება მოსკოვში

მოსკოვი, 13 აგვისტო. (საკდესი) **დღეს საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხებთან მეგობრობის სახლში გაიმართა მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრება, რომელიც მიეძღვნა კორეის განთავისუფლების 19 წლისთავს.**

კრების პრეზიდიუმში იუვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი გ. ი. ვორონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ნ. დემიჩევი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში კიმ ბენ დიკი და სხვები.

მეცნიერები მსჯელობენ

მოსკოვი. 12 აგვისტო. (საკდესის კორ.). დღეს მოსკოვში, საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხებთან მეგობრობის სახლში გაიხსნა სერთაშორისო კონფერენცია ოსლობრივი პრობლემების ბიოლოგიური ასპექტების საკითხებზე. კონფერენციაში მონაწილეობს ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის ოცდათი ქვეყნის მეცნიერი. კონფერენციას აწყობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაცია და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია.

როგორც აცნობა საკდესის კორესპონდენტს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა იუნესკოში ე. რ. გრიგულევიჩმა, თანობრივ ამოცანაა შეადგინოს მეცნიერულად დასაბუთებული იუნესკოს ახალი დეკლარაცია ოსლობრივი პრობლემის ბიოლოგიური ასპექტების საკითხებზე. ეს დეკლარაცია ნავარაუდევია დამტკიცდეს 1966 წელს.

მეცნიერები—ანთროპოლოგები, გენეტიკოსები, ბიოლოგები და მედიკები ეამოთქვამენ თავიანთ ავტორიტეტულ აზრს, თუ როგორ გადაწყვეტონ უკეთ ოსლობრივი პრობლემა თანამედროვე მსოფლიოში.



უნივერსიტეტის ახალი შენობა

ერევანი, (საკდესის კორ.). ერევნის ერთ-ერთ თვალწარმტაც რაიონში აიგება ვარდისფერი ტუფისა და მინისაგან აგებულია მონუმენტური შენობა. ეს არის უნივერსიტეტის მთავარი კორპუსი, რომელმაც შეავსო მზარდ სტუდენტთა ქალაქის არქიტექტურული ანსამბლი.

რვასართულიან შენობაში მოთავსდება დიდი წიგნსაცავი, საქტო, კინოსა და სხვა დარბაზები.

ზიკმუნდი და განზელკა ტაშკენტში

ტაშკენტი, 14 აგვისტო. (საკდესის კორ.). დღეს ტაშკენტში ჩამოვიდნენ ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი მოგზაურები მიროსლავ ზიკმუნდი და ირჟი განზელკა, რომლებიც საბჭოთა კავშირში მოგზაურობენ. ჩეხოსლოვაკიელი სტუმრები აპირებენ გაეცნონ უზბეკეთის ღირსშესანიშნაობებს.

1957 წელს საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება შექმნილიყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილება. ნოვოსიბირსკის მიდამოებში ობის ზღვის ნაპირზე წარმოიშვა აკადემიის ქალაქი. წარმატებით მუშაობს ნოვოსიბირსკის სამეცნიერო ცენტრის 20 ინსტიტუტი.

სურათზე: მათემატიკის, ბირთვული ფიზიკის, ავტომატიკისა და ელექტრომეტრიის, გეოლოგიისა და გეოფიზიკის ინსტიტუტების შენობათა კომპლექსი აკადემიის ქალაქში.

ფოტო ვ. ლეშჩენკოსი (საკდესის ფოტოკორონიკა).

ხელკეტების საშუალებით

ნიუ-იორკი, 14 აგვისტო. (საკდესი). **წუხელ შუაღამისას პოლიციამ ხელკეტების საშუალებით გაფანტა ზანგი მოსახლეობის დემონსტრაცია ქალაქ ელიზაბეტში (ნიუ-ჯერსის შტატი). პოლიციელებმა ხელკეტები დაუშინეს ქალაქის მცხოვრებლებს, რომლებიც უარს ამბობდნენ დამორჩილებოდნენ ბრძანებას „დაშლილიყვნენ და შინ წასულიყვნენ". გუშინ პატერსონისა და ელიზაბეტის პოლიციელებმა ზანგი მოსახლეობის დემონსტრაციის დროს ორჯერ ატეხეს პისტოლეტების სროლა.**

პოლიციის მონაცემებით, ქალაქ პატერსონში (ნიუ-ჯერსის შტატი) წუხელ მოხდა ნაქ ინციდენტი. ქალაქის მერი გრეგორი პირდად ხელმძღვანელობს შეიარაღებულ პოლიციელთა მოქმედებას „ზანგთა დასაშორჩენელად".

„ნიუ-ჯერსის" შტატში გრძელდება დემონსტრაციათა მონაწილეების დაპატიმრება.

ტავდასხმათა შემდეგ

ნიკოზია, 14 აგვისტო. (საკდესი). **კვიპროსის ბერძნული გაზეთები კვლავ აქვეყნებენ იმ კვიპროსელთა ფოტოსურათებსა და მოკლე ბიოგრაფიებს, რომლებიც დაღუპნენ კუბძულის ჩრდილო-დასავლეთ რაიონზე თურქეთის ავიაციის თავდასხმის შედეგად 8 და 9 აგვისტოს. „ჯერ კიდევ ძნელია დადასახელოთ მსხვერპლთა ზუსტი რიცხვი, — განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში კვიპროსის მთავრობის წარმომადგენელმა, — რადგან სპეციალური რაზმები დღემდე გახაგრძობენ თურქეთის თვითმფრინავების ბარბაროსულო თავდასხმათა დროს დაღუპულ კვიპროსელთა გვამების ძებნას. და შეგროვებას. მაგრამ, — დასასკვნა მან, — ეს რიცხვი ძალიან დიდია".**

შეიქმნა არაკეთილი ნაპრალი

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი კაიროდან იუწყება: არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ერაყის, იორდანიის, კუვეიტისა და სირიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომ შეიქმნას არაბეთის საერთო ბაზარი. გთვალისწინებულია ბაზრის წევრ სახელმწიფოთა შორის თავისუფალი ფულადი მიმოქცევა და პროდუქციის გაცვლა.

კენია რესპუბლიკა გახდება

ლონდონი, 14 აგვისტო. (საკდესი). **კენიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მიმდინარე წლის 12 დეკემბრიდან შემოიღოს კენიაში რესპუბლიკური კონსტიტუცია, განაცხადა დღეს კენიის პარლამენტში პრემიერ-მინისტრმა ჯომო კენიატამ.**

რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ კენიატამ აგრეთვე განაცხადა: კენიის რესპუბლიკა კვლავ იქნება ბრიტანეთის ერების თანამეგობრობის წევრი. შესაძლოა, თქვა პრემიერ-მინისტრმა, რომ ნოემბერში კენიაში მოეწყობა რეფერენდუმი ახალი კონსტიტუციის საკითხებზე.

ვითარება მწვავდება სამხრეთ როდეზიაში

პარიზი, 14 აგვისტო. (საკდესი). **სეპტემბრის დამდეგს სამხრეთ როდეზიის პრემიერ-მინისტრი იან სმიტი ლისაბონს მიემგზავრება პორტუგალიის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. ეს, როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, გამოაცხადა სამხრეთ როდეზიის მთავრობამ.**

თუმცა ოფიციალურ ცნობაში არ არის აღნიშნული საკითხები, რომლებსაც მოლაპარაკებაზე შეეხებიან, იან სმიტი, როგორც ვარაუდობენ, პორტუგალიელ კოლონიზატორებთან განიხილავს იმ პროექტს, რომ სამხეთრო შეთანხმება დაიდოს სამხრეთ როდეზიას, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და პორტუგალიას შორის, რომელსაც კოლონიები აქვს აფრიკაში.

ლისაბონში გამართულ მოლაპარაკებაზე, როგორც ჩანს, სმიტი შეეცდება შეეპაროს პორტუგალიელი კოლონიზატორები, რომ მტკიცედ დაუჭერენ მხარს, თუ სამხრეთ-როდეზიელი ექსტრემისტები გადაწყვეტენ დამოუკიდებლობა გამოაცხადონ ინგლისის დაუკითხავად. რომელსაც გარკვეული პასუხისმგებლობა აკისრია სამხრეთ როდეზიისათვის.

აკრა, 14 აგვისტო (საკდესი). ეხება რა იან სმიტის მომავალ მოლაპარაკებას ინგლისის მთავრობასთან, განის გაზეთი „დეილი გრეფიკი" ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილებას, გამართოს მოლაპარაკება, უწოდებს „ზიზღის გამოვლინებას" ერთა თანამეგობრობის ქვეყნების პრემიერ-მინისტრთა ამასწინანდელი კონფერენციისადმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აფრიკის მთელმა რვამა ქვეყნებმაც. კონფერენციის მონაწილეებმა (აფრიკის დელეგატთა ინიციატივით) მოითხოვეს მოიწვიონ კონფერენცია სამხრეთ როდეზიის შესახებ ამ ტერიტორიის აფრიკელთა იმ პოლიტიკური პარტიების მონაწილეობით, რომელთა საქმიანობა აკრძალეს სამხრეთ როდეზიის რასისტებმა.



წელს ლაითურის საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაციებში დაცურავენ ვეებერთელა „ბედები" და საოუთად კრეფენ ნორჩ დუყებს. ისმის მათი გუგუნი. ისინი ფრთხილად მიიწევენ წინ, რომ ბუჩქები არ დააზიანონ. სწრაფად ივსება მათი ფართო ბუნკერები. ესენია ჩაის საკრეფი კომბაინები „საქართველო", რომლებიც არაჩვეულებრივ ნაყოფიერი მუშაობით ყველას ფურადღებას იპყრობენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კომპლექსური მექანიზაციის რგოლის მუშაობა, რომელსაც ვ. სანაძე ხელმძღვანელობს. თვითონ მერგოლურის შრომითს საქმიანობას მახარაძეში ყველა ქებით იხსენიებს. პირველ დღესვე მერგოლურმა ვ. სანაძემ ერთი მანქანით დღეში 1.500 კილოგრამი „მწვანე ოქრო" მოკრიფა. ახლა იგი დღეში კრეფს 2.700 კილოგრამამდე ჩაის ნედლეულს, მაშინ როცა ხელით ძლივს კრეფენ 100-150 კილოგრამს.

მერგოლურს არც რგოლის წევრები პ. სტეპანიანი და ა. ნიკოლაევი ჩამორჩება. თვითეული მათგანი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოთი" დღეში კრეფს 2.600-2.700 კილოგრამ ფოთოლს.

სურათზე მერგოლური ვ. სანაძე (ცენტრში) და რგოლის წევრები პ. სტეპანიანი და ა. ნიკოლაევი.

ფოტო ს. კილაძისა.

ჰექტარზე 10 ტონა ჩაი

ჟოგულეთელი მეჩაიეები განაგრძობენ ლაშქრობას 33.133 ტონა „მწვანე ოქროსათვის". აქ ყოველდღე ყოველგვარ ამინდში მეჩაიეები ადრე დილიდან გვიან საღამომდე პლანტაციებში არიან და კრეფენ ფოთოლს. უკვე მოკრეფილი აქვთ 25 ათას ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული.

კვლავ წინ მიდის **ოჩხამურის** ჩაის საბჭოთა მეურნეობა. აქ სულ მალე შეასრულებენ ფოთლის კრეფის წლიურ გეგმას. ამ მხრივ ქების ღირსი არიან **გვარას, ბობოყვათის, ლელვას, ქაქუთის, ახალშენის, ალამბრის** და სხვა სოფლების კოლმეურნეობები, **ჩაქვის, ცეცხლაურის, სალიბაურის** ჩაის საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც გადამწყვეტია საწარმოო სამმართველოს საერთო წარმატებაში.

სოფელ გვარას კოლმეურნეობაში წელს გამოჩნდნენ ახალი ადამიანები, რომლებმაც სახელი გაითქვეს ფოთლის კრეფის საქმეში. მაგალითად, **მ. შაქარაშვილმა** უკვე დიდხანია შეასრულა ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. ასევე სასახელოდ მუშაობენ **ნ. მახარაძე, თ. გიორგაძე, გ. მეგრელიძე** და სხვები. ახლა ისინი ფოთოლს კრეფენ წლიური გეგმის ზევით. ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადის წევრები **გიორგი ღლონტის** ხელმძღვანელობით იბრძვიან იმისათვის, რომ საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 10 ათასი კილოგრამი „მწვანე ოქრო".

ფოთლის კრეფასთან ერთად შეუფერხებლად მიმდინარეობს ნედლეულის მიღება და გადამუშავება **მუხალეტატეს, ხელვაჩაურისა** და სხვა ჩაის ფაბრიკებში.

მკა მთავრდება

კიდევ რამდენიმე დღე, და რესპუბლიკის მხვნელ-მთესველები დაამთავრებენ თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებას. 10 აგვისტოსათვის მომკილი იყო 181.429 ჰექტარი ანუ გეგმის 71,1 პროცენტი. მკა დამთავრებული აქვთ **ყვარლის, გურჯაანის, სიღნაღის, მაიაკოვსკის** საწარმოო სამმართველოებს.

თელავის საწარმოო სამმართველოში მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია 93,8 პროცენტით, **საგარეჯოს** — 74,8, **გარდაბნის** — 93,8, **ბოლნისის** — 77,5, **თეთრი წყაროს** — 42,1 **დუშეთის** — 48,2, **მცხეთის** — 83,9, **გორის** — 73,6, **ხაშურის** — 77,3, **ახალციხის** — 89,5 პროცენტით, ხოლო **სამხრეთ ოსეთის** ავტონომიურ ოლქში — 44,2 პროცენტით.

მარცვლეული სახელმწიფოს

წელს პურეულის კარგი მოსავალი მოვიდა ჩვენი კოლმეურნეობის მინდვრებზე. **ყანები** დროულად გაიჭრა და გაილეწა. **კოლმეურნეობამ** სამჯერ და უფრო მეტი ბარდა მიჰყიდა **სახელმწიფოს, გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის ხორბლისა** და ქერის მიყიდვის **დავალება.**

თ. ტაბატაძე.

აგრონომი, ზნაურის საწარმოო სამართველო, სოფელ ფრინევი.

გეგმა შესრულებულია გადამეტებით

ახალციხის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. **ი. ხარისჩარიშვილი** გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას აცნობებს, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის მიმდინარე წლის ცხრა თვის გეგმა ვადაზე ადრე — 10 აგვისტოსათვის 102,4 პროცენტით შეასრულეს.

შეჯეხებია 48.597 ათასი ზონარმეტრი თამბაქო

**წარ

მკა შრომის მთავარი ფრონტია

მიტინგი მეყამირეთა სასახლეში

ცელინოგრადი, 13 აგვისტო. (პრესჯგუფი). დღეს ცელინოგრადის მშრომელებს, ყველა მეყამირეს დიდი ზეიმი აქვს. აქ ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც მოგზაურობს საბჭოთა კავშირში. ქალაქის ათასობით მშრომელი გულთბილად და გულითადად შეხვდა ყამირის ათვისების ინიციატორს, მეყამირეთა დიდ მეგობარს.

ნიკიტა სერგის-ძე მივიდა მეყამირეთა სასახლეში. აქ ძვირფას სტუმართან შეხვედრად შეიკრიბნენ ყამირის დამპყრობნი, წარმოების მოწინავენი, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, საწარმოო სამმართველოების ხელმძღვანელები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, სულ თითქმის 2,5 ათასი კაცი.

იწყება მიტინგი. პრეზიდიუმში შემოდის ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც მქუხარე ტაშით ხვდება დარბაზი, ყველანი ფეხზე დგებიან. პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. პოლიაკოვი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალურმ კომიტეტის პირველი მდივანი ი. ი. იუსუპოვი, ყაზახეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ა. კუნაევი, პარტიის ყამირის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. კოლომეიცი, სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ვ. მაცკევიჩი, კუსტანაის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ყამირის“ დირექტორი კ. ტურგუმბაევი, ცელინოგრადის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კონსტანტინოვსკის“ კომბაინერი ნ. ვ. ყელინი, კუსტანაის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ბოროვსკოეს“ განყოფილების მბრძანელი სოციალისტური შრომის გმირი ი. ი. რუდსკოი, პავლოდარის ოლქის ბესკარაგაის ჯიმთსაშენის უფროსი მწყემსი სოციალისტური შრომის გმირი ბ. ოსკანოვი და სხვები.

ფ. ს. კოლმეიცმა გახსნა მიტინგი და თქვა:

— ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ დღეს სასახარულო დღესასწაული გვაქვს. ჩვენთან ყამირზე კვლავ ჩამოვიდა მეყამირეთა დიდი მეგობარი და მასწავლებელი ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი.

ახალი მიწების ათვისების დიადი გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში, ყამირის მხარის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის დიდი მადლობის ნიშნად, ყამირის ათვისების დაწყების ათი წლისთავსა და თქვენი დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებთან, ყამირის ვეტერანებისა და მხარის ყველა მშრომელის ნებით თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის ძევ, შეტანილი ხართ „ყამირის დიდების ოქროს წიგნში“.

დღეს ყამირის მხარე მძლავრი ეკონომიური რაიონია, სადაც შეხამებულია დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობა და სწრაფად განვითარებადი მრეწველობა. 10 წლის მანძილზე ათვისებულია 19 მილიონ ჰექტარზე მეტი ახალი მიწები, მოიწყო 500-ზე მეტი დიდი საბჭოთა მეურნეობა. ველებში გაშენდა ასობით ახალი დაბა, სადაც არის ელექტრობა, გზები, გაგვყავს მძლავრი წყალსადენები. სახსრები, რომლებიც მოხმარდა ახალი მიწების ათვისებას, არა თუ მთლიანად ანაზღაურდა, არამედ დაუბრუნდა სახელმწიფოს დიდი გადამეტებით.

ათი წლის განმავლობაში მხარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა აწარმოეს ექვს მილიონ ფუთზე მეტი პური და სახელმწიფოს ბეღლებში შეინახეს 3.538 მილიონი ფუთი — 7,2-ჯერ მეტი, ვიდრე წინა ათწლეულში. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება ერთიორად და მეტად გაზხარდა, ხოლო სახელმწიფო დაბადებულ — 3-5-ჯერ.

ამ ხნის განმავლობაში თითქმის ხუთჯერ გაიზარდა სამრეწველო მშენებლობის მოცულობა, იზრდება ყამირის ინდუსტრიის პირმშო — სოკოლოვსკ-სარბაის სმელტ-გამამდიდრებელი კომბინატი, დაკალების გადაკარბებით ვითარდება ეკიბასტუზის ქვანახშირის აუზის სიმძლავრეები, მალე ამუშავდება ჯეზკაზგანის აზბესტის კომბინატი, პავლოდარის ალუმინის ქარხანა.

ახლა მხარეში შრომობს უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე დაახლოებით 120 ათასი სპეციალისტი, თითქმის 250 ათასი სოფლის მექანიზატორი, 1600 ათასი კაცით გაიზარდა მხარის მოსახლეობა. საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ყანებში მწიფდება უხვი მოსავალი. ყველა შრომელის სახელით პირობას ვაძლევთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ მხარის საბჭოთა მეურნეობანი და კოლმეურნეობანი წელს გადაჭარბებით შეასრულებენ პურის დაბადების დაწესებულ გეგმას, პირველად შეასრულებენ დიდ ნაკისრ ვალდებულებებს — მისცემენ სამშობლოს სულ ცოტა 740-775 მილიონ ფუთ ყამირის პურს.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ცელინოგრადის ოლქის ატბასარის საწარმოო სამმართველოს უფროსმა **ვ. ი. გოლენშჩენკომ.**

—ნება მიბოძეთ, — თქვა მან, — ატბასარის საწარმოო სამმართველოს მეყამირე მხვნელ-მთესველების დიდი რაზმისა და ცელინოგრადის ოლქის ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ მივესალმო პირველ მეყამირეს, ახალი მიწების დამპყრობთა დიდ მეგობარს ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს, მოელი სულითა და გულით ვუსურვო ჯანმრთელობა და დიდგრძელობა ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ჩვენი რაიონის უზარმაზარ ტერიტორიაზე ათი წლის წინათ ცარიელი იყო ნაყოფიერი მიწები. საუკეთესო მოსავლიან წლებში კოლმეურნეობანი აწარმოებდნენ ერთნახევარ-ორ მილიონ ფუთ პურს. ახლა ვეღარ აცნობთ ატბასარის ველებს. ათი წლის განმავლობაში სამმაოველოს საბჭოთა მეურნეობებმა სამშობლოს მისცეს 100 მილიონ ფუთზე მეტი მარცვალი, რვაჯერ გაადიდეს ხორცის წარმოება, 11-ჯერ რძის წარმოება. კარგად ემსახურება ყამირი კომუნიზმის შენებლობის დიადი საქმეს.

ჩვენში შრომობს ათასობით შესანიშნავი ადამიანი, თავისი საქმის ნამდვილი ენთუზიასტი. მათ შორის არიან პირველი მეყამირეები — სამარის საბჭოთა მეურნეობის სტარაკტორო ბრიგადის ბრიგადირი ალექსი პანოვი, ენერგოპიტროვსკის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი ივანე კრავჩენკო, საბჭოთა მეურნეობა „სამარსკის“ უცვლელი დირექტორი, გამოცდილი ხელმძღვანელი ი. გ. ლიხობაბა და ბევრი სხვა.

განსაკუთრებით კარგად იშრომეს მეყამირეებმა წელს. საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ლიკვიდირებულია მიწისა და ტექნიკის გაუპიროვნება, შემუშავებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვა-მოყვანის ტექნოლოგიური რუკები, მოვიწეთ უხვი მოსავალი.

მიწათმოქმედებს ახარებთ თავიანთი შრომის შედეგები. ამასთანავე თითოეულ მათგანს შეგიგებული აქვს, რომ წინ არის ყველაზე პასუხსაგები ეტაპი— ჩვენი დაბადული მუშაობის გვირგვინი, პურის მოსავლის აღება. ახლა თითოეულს ასულოდგმულებს ერთი აზრი — ჩინებულად დაამთავრონ მკა, ყოველ პირობებში აღიონ და შეინახონ მოსავალი.

ძვირფასო ნიკიტა სერგის ძევ! ჩვენ ყამირის ვეტერანები მეხუთედ გხვდებით ყამირის მიწაზე. ყოველი თქვენი ჩამოსვლა დიდი დღესასწაულია ჩვენთვის, ყოველი შეხვედრა თქვენთან ფრთებს გვასხამს, მოგვიხმობს ახალი საქმეებისათვის.

ატბასარის საწარმოო სამმართველოს ყველა მშრომელის სახელით პირობას ვაძლევთ, რომ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ჩინებულად დავამთავროთ მკა, აგაღოთ მოსავალი და შეეინახოთ სახელმწიფოს ბეღლებში სულ ცოტა 20 მილიონი ფუთი პური.

სიტყვა ეძლევა კუსტანაის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ყამირის“ დირექტორს **კ. ტურგუმბაევს.**

— ათვისებულმა ყამირმა, — თქვა მან, — საბჭოთა ხალხს დიდი დოვლათი მოუტანა. ყამირის ათვისებაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებების ერთ-ერთი დამაჯერებელი ნიმუშია სემიოზერნის საწარმოო სამმართველოს საბჭოთა მეურნეობა „ყამირი“. ჩვენი მეურნეობა შეიქმნა 1960 წლის მაისში. ახლა მისი ცენტრალური მამული არ ჩამოუვარდება ქალაქის ტიპის მუშათა დაბებს, სამი წლის განმავლობაში საბჭოთა მეურნეობამ სამშობლოს ბეღლებში შეიტანა 3 მილიონ 580 ათასი ფუთი პური. ბედნიერი ვარ გაცნობოთო, რომ ჩვენი საბჭოთა მეურნეობის ყანებში მოწეული ასფუთიანი მოსავალი. ავწონ-დაგწონეთ რა ჩვენი ვალდებულებანი, გადავწყვიტეთ სამშობლოს ბეღლებში შევიტანოთ არა მილიონ 300 ათასი ფუთი, როგორც გეგმით იყო გათვალისწინებული არამედ 2 მილიონი ფუთი მარცვალი. საბჭოთა მეურნეობა სავსებით მზად არის გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოოს ყამირის დიდი პურისათვის. ყველა 130 კომბაინი და 30 სამკალი ჩაშენკიანებელი მზადყოფნის ხაზზე.

ყამირის ათვისება ყველა ჩვენთანგანისათვის დიდი სკოლა იყო. ყაზახი ხალხი, ყაზახეთის ყველა მშრომელი უსაზღვროდ მადლობელია თქვენი, ძვირფასო ნიკიტა სერგის ძევ, ლენინური ცენტრალური კომიტეტისა, საბჭოთა მთავრობისა, ყველა მომძე ხალხისა ყამირის ათვისებაში დიდი დახმარებისათვის.

— ათი წლის წინათ, როცა მშობლიური პარტიის ნებით დაიწყო დიდი შეტევა ახალი მიწების ასათვისებლად, — თქვა **ი. ტ. ხანიუკოვმა,** პავლოდარის მანქანათსაშენებელი ქარხნის ზეინკალმა, — ჩვენ მტკიცედ ვიყავით დარწმუნებული, რომ გავა ცოტა დრო და ამ ადგილებში ბევრი ადამიანი ჩამოვა ცხოვრებისა და ბედნიერების ეძებნელ. ეს ასეც მოხდა. ჩვენ ვამაყობთ, რომ ყამირი გახდა არა მარტო საბჭოთა კავშირის უმნიშვნელოვანესი მარცვლეულის ბაზა, არამედ მსხვილი სამრეწველო რაიონიც. მოხარული ვარ მოგახსენოთ, რომ წარმატებით სრულდება პარტიის დირექტივები პავლოდარ-ეკიბასტუზის სამრეწველო კვანძის შექმნისათვის. მწყობრში ჩადგა პავლოდარის მანქანათსაშენებელი ქარხნის ოთხდენიმე საამქრო, თბოელექტროცენტრალი — 2, თბოელექტროცენტრალი — 1-ის პირველი რიგი, ავტოსარემონტო ქარხანა, ხორცის კომბინატი, თიხამიწის წარმოების საცდელი ქარხანა, შენმნილია სამშენებლო ინდუსტრიის მძლავრი ბაზა. კომპლექსურ გამოცდას გადის პავლოდარის ალუმინის ქარხნის პირველი რიგი, სწრაფად ვითარდება ეკიბასტუზის ქვანახშირის აუზი, რომლის საწარმოო სიმძლავრე 1970 წელს 40 მილიონ ტონამდე გადიდდება. ჩვენი ქარხნის საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს მრეწველობის პროდუქციის წარმოების შვიდი თვის გეგმა. ქალაქი აგრეთვე დიდ დახმარებას უწევს ოლქის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს, განსაკუთრებით მოსავლის აღებაში. მე ვმუშაობ მანქანათსაშენებელი ქარხნის ზეინკლად, მაგრამ კიდევ მაქვს კომბაინერის, ტრაქტორისტისა და შოფრის სპეციალობები. ხვალ მივემგზავრები ირტიშის საწარმოო სამმართველოს ამაის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც მონაწილეობას მიეიღებ მოსავლის აღებაში. ყოველ ღონეს და ცოდნას ვიხმარ, რომ საკუთარი წვლილი შევიტანო ყაზახეთის მიღიარდი ფუთი მარცვლის აღებაში.

ადფრთოვანებით ლაპარაკობს ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქის პრესნოვსკის საშუალო სკოლის მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადის ახალგაზრდა ბრიგადირი **ტანია რაზგონიეცევა.**

— იმათი სახელით, ვინც პირველ კარვებში დაიბადა, ყამირის მხარის ყველა პიონერისა და მოსწავლის სახელით, — თქვა მოსწავლემ, — უაღრესად ბედნიერი ვარო გიღვნათ თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის ძევ, მხურვალე, გულითადი სალამი.

ჩვენ, ახალგაზრდა თაობამ, უნდა გაშენოთ და ვიცხოვროთ კომუნიზმის ბედნიერ ქვეყანაში. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამისთვის საჭიროა გვკოდეს არა მარტო ღრმა და მტკიცე ცოდნა, არამედ აგრეთვე უნარიანად გამოვიყენოთ ეს ცოდნა ცხოვრებაში. ამ საქმეში ჩვენ გვეხმარება მუშაობა მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებში.

ჩვენი ბრიგადა 1960 წელს შეიქმნა. მასში 120 კაცია. ჩვენ ვამუშავებთ 228 ჰექტარს, მოგვყავს ხორბალი, სიმინდი, ბოსტნეული. უხვი მოსავლის მოსაყვანად ჩვენ შევისწავლეთ. ამ კულტურების თესვა-მოყვანის აგროტექნიკა, შევადგინეთ ტექნოლოგიური რუკები. საბჭოთა მეურნეობა „პრესნოვსკის“ უზრუნველგვყო მინერალური სასუქებით, გამოგვიყო საპირო ტექნიკა. ბრიგადაში მუშაობის დროს ჩვენ შეგვიყვარდა შრომა, ვისწავლეთ შრომიერი ადამიანების პატივისცემა, გავიგეთ პურის ფასი.

ამჟამად ყამირის მხარეში მუშაობს მოსწავლეთა 344 ბრიგადა და 1398 რგოლი, რომლებსაც მოჰყავთ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურა 60 ათასზე მეტ ჰექტარზე. ამ ბრიგადებში 33 ათასი მოსწავლეა. მოსწავლეები მონაწილეობენ ჰიდროპონიური მეთოდით მწვანეთ საკვების მოყვანაში. მარტო მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩვენი მხარის პიონერებმა და მოსწავლეებმა მოიყვანეს და მეცხოველეობის ფერმებს ჩაბარეს 20 ათასი ცენტნერი მწვანე მასა.

ბედნიერი ბავშვობისათვის, შესანიშნავი სიმაღლისათვის, მოწმენდილი ცისათვის, მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, თქვენ, ნიკიტა სერგის ძევ, გიძღვნით დიდ გულითად მადლობას!

ცელინოგრადის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კონსტანტინოვსკის“ კომბაინერმა **მ. ვ. ყელენმა** თქვა:

საბჭოთა მეურნეობა „კონსტანტინოვსკის“ მექანიზატორებმა, ყველა მშრომელმა კარგად იმუშავეს, მოიყვანეს ასფუთიანი მოსავალი. ახლა მხოლოდ ერთი საბრუნავი გვაქვს— სწრაფად და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, სამშობლოს მივცეთ სულ ცოტა 1.500 ათასი ფუთი მარცვალი.

ჩვენმა ქვეყანამ მძლავრი ტექნიკით შეიარაღა ყამირელები. ჩვენს საბჭოთა მეურნეობაში 128 კომბაინი, 50 ფართო გატანისგანიანი სამკელი მანქანა და ბევრი სხვა მანქანაა. სასიამოვნო შესახედავია, როგორ ირბენენ ერთ დღეში ხორბლის უზარმაზარ მასივებს. ჩვენ გადავწყვიტეთ საათობრივი გრაფიკით ვიმუშაოთ, რათა სწრაფად მოვმკათ და გავეცეთ პურეული.

მოსავალს უკვე სამი ბრიგადა იღებს. მკას არჩევით ვაწარმოებთ, დრო რომ არ დავკარგოთ, მალე მკას მეც დავიწყებ. ვიმუშავებ ორ კომბაინზე, ორი თანაშემწით. ჩვენ გადავწყვიტეთ 160 სამუშაო საათში მოვმკათ ათასი ჰექტარი პურეული და ღვარეული აკარიფოთ 700 ჰექტარზე.

— ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების წლებში აქ შესანიშნავი ადამიანები აღიზარდნენ, — თქვა კოქჩეტავის ოლქის რუზაევის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა **ვ. ნ. ზაგორსკიმ,** — უკვე ათი წელიწადია შეუნაცვლებლად მუშაობენ საბჭოთა მეურნეობების „დასავლეთისა“ და „ბოროვსკოის“ დირექტორებად კომუნისტები ამხანაგები ტუნაკი და სტეპენკო, ყამირის ათვისების დაწყებიდანვე კომუნისტები ამხანაგები ტახტანი, ზოხობაროვი, ტოკუნენი და ბევრი სხვა მეთაურობენ სატრაქტორო-მემანდურეობის ბრიგადებს. ყამირზე ცხოვრების დიდი სკოლა განვლო ჩვენმა შესანიშნავმა ახალგაზრდობამ.

ახორციელებენ რა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის კურსს, რუზაევის საწარმოო სამმართველოს მშრომელებმა მოიყვანეს ოქრა მოსავალი. პირველად მიმდინარე წელს ჩვენში 165 ათას ჰექტარზე განვახორციელეთ ნათესების ქიმიური გამარგვლა.

სამმართველოს საბჭოთა მეურნეობები კარგად მოემზადნენ მოსავლის აღებისათვის. ყველა დამამზადებელი პუნქტი ორგანიზებულად შეხვდება დიდ პურს.

საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაცია მხვნელ-მთესველებისა და მექანიზატორების მთელ ძალღონეს წარმართავს დამკვრელური შრომისათვის ომნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის, რომლის შესაბამისად სახელმწიფოს უნდა მივცეთ სულ ცოტა 30 მილიონი ფუთი პური. ეს 8,6 მილიონი ფუთით მეტია, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

მკაფიო სიტყვა წარმოთქვა კომკავშირის ყამირის სამხარეო კომიტეტის მდივანმა **გ. ს. გოცემ.**

—ათი წლის წინათ, — თქვა მან, — ლენინური კომკავშირი პირველად გამოუხმაურა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას და ყამირის ასათვისებლად გაგზავნა ასი ათასობით ქალაშვილი და ჭაბუკი, რომლებმაც აქ იპოვეს თავიანთი მოწოდება, თავიანთი ბედნიერება.

როგორც ბევრი სხვა, ესილის ველზე, საბჭოთა მეურნეობა „დალნიზი“ უკრაინიდან ჩამოვიდა გრიშა სკაკენკი. მას მხოლოდ დაწყებითი სკოლა ჰქონდა დამთავრებული. ახლა იგი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი სტუდენტი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი. გრიგოლი ახლა ოჯახშიც ბედნიერია: ორი ქალაშვილი და ვაჟაშვილი ეზრდება. ასევეთები, როგორიც გრიგოლ სკაკენკია, ათასობით არის ყამირზე. ისინი სიამაყით ინახავენ თავიანთ კომკავშირულ საგზურს.

დღეს კომკავშირელ-ყამირელების 300 ათასიან არმიაში ასობით უნარიანი ტრაქტორისტი და კომბაინერი, მძღოლი, მშენებელი და მეცხოველეა. ისინი თავიანთი საქმის გამოცდილი ოსტატები, მკვიდრი ყამირელები არიან. ყამირზე ათასობით ქალაშვილი და ჭაბუკი წარმოების მეთაური გახდა. ლენინური კომკავშირის აღზრდილები ლეონ ვოლოდკინი, გრიგოლ კარლოვი, ვიგიპარ აკბასოვი, ნინო ეუსი, გრიგოლ კნიაზევი და ბევრი სხვა ამჟამად წარმატებით ხელმძღვანელობენ დიდ საბჭოთა მეურნეობებს. ეს დიდი ნდობაა ახალგაზრდობისადმი, მაგრამ უდიდესი ნდობა, რომელიც კომკავშირელმა ყამირელებმა დიამსახურეს, არის ლენინის დიადი პარტიის წევრობა. მარტო უკანასკნელი სამი წლის მანძილზე 8 ათასი ახალგაზრდა კომუნისტი გახდა.

ყამირის პურისათვის ბრძოლაში მონაწილეობს 200 ათასი კომკავშირელი. ისინი გაუძღვებიან 33 ათას კომკავშირულ-ახალგაზრდულ კომბაინსა და ლეტეტის აგრეგატს, 23 ათას ავტომანქანას. კომკავშირელებმა მტკიცედ გადაწყვიტეს იბრძოლონ „კომკავშირული ნორმის“ — ორი ცალის დავალების შესრულებისათვის.

ყამირის მხარის კომკავშირელების, ყველა ახალგაზრდა მშრომელის სახელით დღეს პირობას ვაძლევთ დიად კომუნისტურ პარტიას, რომ მომავალშიც ვიქნებით მისი ერთგული თანაშემწენი, ვიქნებით ყამირის დიდი პურისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში!

ტრიბუნაზეა ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ი. ი. იუსუპოვი.** მან თქვა:

— თქვენმა ახლანდელმა ჩამოსვლამ, ნიკიტა სერგის ძევ, ყამირის ყველა მშრომელის დიდი სიხარული და აღფოთოვანება გამოიწვია. ყამირელები და ყაზახეთის ყველა მშრომელი გხვდებიან თქვენ, როგორც ყველაზე ძვირფას, უფლაზე ახლობელ ადამიანს და საუკეთესო მეგობარს.

ათ წელიწადში, რომლებმაც განვლო ყამირი მიწების ათვისების შედეგად, ყაზახეთში განხორციელდა უდიდესი მუშაობა მარცვლისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. ყამირი გადაიქცა პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის სიამაყედ.

ჩვენი საზღვარგარეთელი მტრები გაჩუქიოდნენ, რომ ყამირის ათვისება ეკონომიურად ხელსაყრელი საქმე არ არის. ისინი ყვირიოდნენ, რომ ყამირი დაიღუპება. მაგრამ შერცხვნენ. ჩამოვიდნენ აქ და ნახონ, თუ როგორ სულ უფრო იზრდება ყამირის გულითაური ძალა.

ყამირზე მოპოვებულ გამარჯვებაში საბჭოთა ადამიანები ხედავენ პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის პოლიტიკის სიბრძნისა და შორსმჭვრეტელობას.

დღეს ამ დარბაზში არიან ყამირელთა დიადი არმიის საუკეთესო წარმომადგენლები, ისინი, ვისი ხელოვნება იქმედა გამარჯვება ათვისებულ მიწებზე. მათი სახელით და მთელი ყაზახი ხალხის სახელით ნება მიბოძეთ გიძღვნათ თქვენ, ნიკიტა სერგის ძევ, და თქვენი სახით პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, ჩვენი უდიდესი მადლობა ყამირელებზე მუდმივი მამობრივი ზრუნვისათვის, ყაზახეთის ეკონომიკის სწრაფი აყვავებისათვის. ამ დიდ ზრუნვას რესპუბლიკის მშრომელები უპასუხებენ ახალი შრომითი საქმეებით, ახალი წარმატებებით კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

ყაზახეთის პარტიული ორგანიზაციები, ყველა მშრომელი დიდ მუშაობას ეწევიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის. მომდინარე წელს ჩვენი რესპუბლიკა სამშობლოს მისცემს მილიარდ ფუთ პურს.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ადვილი საქმე არ არის ბრძოლა მილიარდი ფუთისათვის. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ყველაფერი როდია გაკეთებული მოკლე ვადაში მოსავლის აღებისათვის. მთელ რიგ რაიონებში ავიანებენ მკის დაწყებას, რაც შეიძლება მალე უნდა აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი ყამირის დიდი პურის აღების ორგანიზაციაში.

ყამირელები, რესპუბლიკის ყველა მშრომელი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა წარმატებით აიღონ მოსავალი და სამშობლოს მისცენ ყაზახეთის მილიარდი ფუთი პური.

მიტინგზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას უდიდესი ყურადღებით ისმენენდნენ და არა ერთხელ გასაღიმოდა მქუხარე, ხანგრძლივი ტაში.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღფოთოვანებით გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს.

ბ. ავეარჩენკო, ვ. ბრაღლე, ნ. ბრიზლოვი, ვ. მიხეევი, ს. მუნტიანი.

სიახლე, თაოსნობა, წარმოების რენტაბელობა

მახარაძის საწარმოო სამმართველოს მუშაობის პრაქტიკიდან

ბასელ წელს მახარაძის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს და პარტიული კომიტეტის ინიციატივით სამმართველოში შემავალი ყველა 68 კოლმეურნეობა რესპუბლიკაში პირველი გადავიდა შრომის ანაზღაურების ახალ ფორმაზე — **ყოველთვიურ გარანტირებულ ფულად ანაზღაურებაზე.**

შრომითს პროცესებთან ანაზღაურების ამ ახალი ფორმის დაკავშირებამ წარმატებას მიაღწია. გაიზარდა სამმართველოში შემავალ კოლმეურნეობათა სამეურნეო შედეგები. 1962 წელთან შედარებით სახელმწიფოს მიეყიდა 26.650 ცენტნერით მეტი ჩაის ფოთოლი, 13.590 ცენტნერით მეტი ციტრუსები, 582 ცენტნერით მეტი ხორცი, 2.999 ცენტნერით მეტი რძე და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. შესაბამისად მიღებულ იქნა 2.312.000 მანეთით მეტი ფულადი შემოსავალი, ხოლო შრომის ანაზღაურებლად გაიცა 629.000 მანეთით მეტი, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა კოლმეურნეობათა ეკონომიური ძლიერება.

წელს ამავე საწარმოო სამმართველოს ყველა კოლმეურნეობა კვლავ რესპუბლიკაში პირველი გადავიდა **შიდასამეურნეო ანგარიშის მეთოდით** შრომის ანაზღაურების ახალ, უფრო პროგრესულ ფორმაზე. ფრთებს შლის მატერიალური დაინტერესების ამაღლების, მინიმალური დანახარჯებით იაფი და უხვი პროდუქციის მიღების სოციალისტური პრინციპი.

შიდასამეურნეო ანგარიშის მეთოდით მუშაობა საუკეთესოდ უპასუხებს შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიურ კანონს. ამაშია მისი ძალაც.

შიდასამეურნეო ანგარიშის მეთოდით მომუშავე კოლმეურნეობებში უკეთესი შრომისათვის უფრო მეტ ანაზღაურებას აკუთვნებენ მუშაკებს. ეს ზრდის მათს მატერიალურ დაინტერესებას, იცავს მშრომელთა ინტერესებს და ბრძოლას უცსალებს უყაირათობისა და საზოგადოებრივი ქონების ხელყოფის ყოვლგვარ გამოვლინებას.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ მეთოდით მუშაობაზე გადასვლამდე, საწარმოო ერთეულის შიგნით იშვიათი როდი იყო ცდები შრომითი, ფულად-მატერიალური დანახარჯების ხელოვნური გაბერვისა. ამქამად ასეთ ცდებს სამეურნეო ანგარიშის მეთოდით მუშაობა დაუყოვნებლივ აკლენს და აღმოფხვრის.

ისეთ ცნობილ კოლმეურნეობაშიც, კი როგორიც ნატანების კოლმეურნეობაა, საწარმო ერთეულის ხელმძღვანელმა სცადა შესრულებული სამუშაოს ხელოვნურად გაბერვა და დაუმსახურებელი ანაზღაურების მიღება. სასნგარიშო დარგმა მის მიერ წარმოდგენილი „საბუთები“ გაატარა კიდეც, მაგრამ სამეურნეო ანგარიშის შესაბამისად წარმოებულმა აღრიცხვამ, რაც მაღალ დონეზე აქვს დაყენებული კოლმეურნეობის ეკონომისტს შ. ქუტიძეს, გამოაკლინა დამნაშავე, რომელსაც დაუმსახურებელი ანაზღაურების ნაცვლად დამსახურებული სასჯელი მიაკუთვნეს.

დვაბზოსა და წითელმთის კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში ითვალისწინებდნენ ყოველი 100 მანეთის ჯი შემოსავალს აპარბებს, მაგრამ იგი ჯერჯერობით დასაშვებია.

სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში კოლმეურნეობებს წამყვანი ადგილი უპირავთ და განვითარების თანამედროვე ეტაპზე მსხვილ სოციალისტურ საწარმოო ერთეულებს წარმოადგენენ. მსხვილი სოციალისტური საწარმოები კი მოითხოვენ ხელმძღვანელობის მაღალ დონეზე წამოწევას.

ამიტომ შიდასამეურნეო ანგარიშის მეთოდით მუშაობაზე გადასვლა მოითხოვს კოლმეურნეობათა უზრუნველყოფას ეკონომისტთა კადრებით.

ის გარემოება, რომ კოლმეურნეობის ცალკეული საწარმოო ერთეულები სამეურნეო წელში განსხვავებულ შრომითს შედეგებს იღებენ, მათი შრომის ძირითადი ანაზღაურება კი თანაბარია, რა თქმა უნდა, სწორი არ არის და მოწესრიგებას მოითხოვს. ეს კი კოლმეურნეობის ეკონომისტის ძირითადი მოგალეობაა.

„საქმიანი ეკონომისტი, — გვასწავლის დიდი **ლენინი,** — ფუჭი თეზისების ნაცვლად, ხელს მოჰკიდებდა ფაქტებს, ციფრებს, მონაცემებს გულმოდგინედ შესწავლას, ანალიზს ვაუკეთებდა ჩვენს საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებას და იტყოდა: აქა და იქ შეცდომაა, ეს შეცდომა ასე და ასე უნდა გამოსწორდესო“.

აქედან ნათლად ჩანს ეკონომისტის როლი. მან უნდა იმსჯელოს არა საერთოდ, არამედ დეტალურად უნდა შეისწავლოს მეურნეობის ყველა უბანი და უბნის ყველა დარგი და გამოავლინოს გეგმების შესრულების რეალური საშუალებანი.

კოლმეურნეობის სხვა სპეციალისტთა შორის ეკონომისტი ერთ-ერთი მთავარი სპეციალისტია, რომელიც თავის მუშაობაში უშუალოდ ემორჩილება კოლმეურნეობის თავჯდომარეს.

ამჟამად ბევრ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მუშახელის დენადობას. რა არის ამ დენადობის მიზეზი? შრომის არასწორი ორგანიზაცია, უმართებული სატარიფო სისტემა და შრომის ანაზღაურების გათანაბრება.

დენადობის მოსასპობად საჭიროა დასაქმებულ მუშაკთა ისეთ პირობებში ჩაყენება, რომ საშუალება ჰქონდეთ იმუშაონ დაინტერესებით, აზრიანად. მუშაკები უნდა დაინტერესდნენ შრომის ნაყოფიერების ზრდით და წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით.

კოლმეურნეობის ეკონომისტი მოვალეა შრომითი და ფულადი მატერიალური დანახარჯების ღრმა ანალიზის საფუძველზე გამოავლინოს ცალკეული დარგების და კულტურების მიხედვით შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების რეზერვები, ყოველმხრივ იბრძოლოს მათი ამოქმედებისათვის და ანალიზის შედეგი გაიცნოს კოლმეურნეობის თავჯდომარეს და ყოველთვიურად ან კვარტალში ერთხელ მაინც სამეურნეო აქტივთან ერთად განიხილონ იგი გამგეობის სხდომაზე.

სწორი და რეალური დაგეგმვის პარალელურად ეკონომისტი მოვალეა ყურადღება მიაქციოს შესრულებული სამუშაოს მოცულობას, ხარისხსა და კონტროლს, ხოლო სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ შემოსავლის განაწილებას სწორად დადგენას.

მახარაძის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებში ეკონომისტთა კადრები ყველა კოლმეურნეობაში ჰყავთ და, ცხადია, საქმეც კარგად მიდის.

საწარმოო სამმართველომ ანასეულის ინსტიტუტის მუშაკებისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომისტების მონაწილეობით შეიმუშავა რეკომენდაციები — სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში შრომის ძირითადი და დამატებითი ანაზღაურების ოდენობათა დაწესების შესახებ.

ყურადღებას იქცევს შრომის ანაზღაურება — დანერგული

საბჭოთა მთავრობის განცხადება

საბჭოთა მთავრობამ აზიისა და აფრიკის ქვეყნების მთავრობებს გაუგზავნა შემდეგი განცხადება:

„უკანასკნელი თვეების მანძილზე ბევრ სახელმწიფოში, რომლებიც ემზადებიან აზიისა და აფრიკის ქვეყნების II კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, განიხილავენ საკითხს ამ კონფერენციაზე საბჭოთა კავშირის მიწვევის შესახებ. როგორც ცნობილი გახდა, ზოგიერთ ქვეყანაში გარკვეული წრეები ცდილობენ ამ საკითხზე აზრთა ნორმალური გაზიარება აკციონ უნიადაგო არაჯანსაღ-დისკუსიებად. ამასთანვე ისინი არ თაკილობენ გამოიყენონ ყველაზე ბინძური საშუალებანი, რასობრივი მოტივებით სპეკულაციაც კი, საბჭოთა კავშირის პოზიციის უხეში დამახინჯება და ყოველგვარი ინსინუაციები მის მიმართ. ეს წრეები იმასაც კი აკეთებენ, რომ ცდილობენ აიძულონ აფრიკა-აზიის ქვეყნები კონფერენციის მონაწილეთა შემადგენლობის განხილვის დროს საბჭოთა კავშირისადმი გამოიყენონ იგივე მიდგომა, რაც კოლონიური სახელმწიფოებისადმი, რომლებსაც აქვთ სამფლობელოები აზიასა და აფრიკაში.

შექმნილ პირობებში, გარკვეული წრეების უხეში ცდების წინაშე — გათიშონ აზიისა და აფრიკის ქვეყნების მომავალი მეორე კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოების რიგები, იქმნება საჭიროება უფრო დაწვრილებით განვმარტოთ საბჭოთა კავშირის თვალსაზრისი ამ კონფერენციაში მისი მონაწილეობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის ცნობილ განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნდა მიმდინარე წლის მაისის დამლეგს, აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს აფრიკა-აზიის ქვეყნების II კონფერენციის მოწვევას, თუ ამ კონფერენციის მიზანი იქნება მთელი იმ ძალების შეკავშირება, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმისა და კოლონიური მონობის წინააღმდეგ, და, არის რა აზიის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო, მზად არის ყოველი ღონე იხმაროს ასეთი კონფერენციის წარმატებისათვის. ჩვენ არ შეიძლებოდა გვქონოდა სხვა პოზიცია, რადგან მას საფუძვლად უდევს საბჭოთა სახელმწიფოს თვით არსი, რომლის შექმნამ დასაბამი მისცა აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხების განთავისუფლებას. მას შემდეგ იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სსრ კავშირის ხალხები და აზიის, აფრიკის ხალხები მიდიან ერთიან შეკავშირებულ მწყობრად. საბჭოთა ადამიანები დიდ სიმპათიას გრძნობენ მომავალი კონფერენციის მიზნებისადმი. არა სიტყვით, არამედ ბევრი საქმით ცხადყვეს საბჭოთა ადამიანებმა თავიანთი ნამდვილი ძმური დამოკიდებულება აზიისა და აფრიკის ხალხებისადმი, მათი საჭიროებისა და ინტერესების დრმა გაგება, აფრიკა-აზიის ქვეყნების სოლიდარობის იდეისადმი მტკიცე ერთგულება. მთელი თავისი თითქმის ნახევარი საუკუნის ისტორიის მანძილზე საბჭოთა კავშირი აქტიურად და თანმიმდევრულად იბრძვის იმპერიალიზმისა და ყველა სახეობის კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ. იგი ხელს უწყობს ყველა ჩაგრული და ექსპლოატირებული ხალხის სრულ პოლიტიკურ და ეკონომიურ განთავისუფლებას, არის მათი საიმედო მეგობარი და დამცველი კოლონიზატორთა აგრესიული ზრახვებისაგან, ეს კარგად იციან ორივე კონტინენტის ყველა კუთხეში.

მეგობრობა და კავშირი იმ ხალხებთან, რომლებსაც მოიშორეს კოლონიური და ნახევარდაკოლონიური უღელი, საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომელიც დიდმა ლენინმა გვიანდერძა. და, რასაკვირველია, საბჭოთა ადამიანები ამ მათთვის წმიდათა წმიდა პრინციპს არ დაუკავშირებენ ამა თუ იმ კონფერენციაში მონაწილეობის მიღებასა თუ მიუღებლობას. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი არ მონაწილეობდა და არც აღუძრავს საკითხი, რომ მონაწილეობა მიეღო აზიისა და აფრიკის ქვეყნების I კონფერენციაში, რომელიც ბანდუნგში გაიმართა. ამას ჰქონდა თავისი მიზეზები. საკმარისია ითქვას, რომ იმ დროს, როცა ბევრი ხალხი ჯერ კიდევ ელოდა თავისი განთავისუფლების ჟამს, კონფერენციის მონაწილეთა შორის სოლიდარობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთება იყო. კონფერენციის ინიციატორები და ორგანიზატორები, მათ შორის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ერთად იდგნენ მშვიდობის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, ეროვნული განთავისუფლებისა და პროგრესისათვის ყველა მებრძოლის შეკავშირების პოზიციებზე. და არსებითად, კონფერენციაზე არ იყო ძალები, რომლებსაც შეეძლოთ აეცდინათ კონფერენცია ამ მიზნებისაგან. მაშინ არ იყო საფუძველი შეშფოთებისა მსოფლიო განმათავისუფლებელი ძალების ერთობისა და საერთო მოქმედების ბედისათვის, ეს შეშფოთება გამოიწვია ზოგიერთმა შემდგომმა ამბავმა, დაწესებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ინდოეთის საზღვარზე ტრაგიკული კონფლიქტით და ჩინეთის ხელმძღვანელებში ვიწრონაციონალისტური ბეგემონისტური ტენდენციების აშკარა გამოვლინებით.

ახლა, როცა ვითარება ბევრად შეიცვალა, შეიძლება ვსვამდეთ გავუგოთ იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც სურთ აზიისა და აფრიკის ქვეყნების II კონფერენციის მაგიდასთან იხილონ საბჭოთა კავშირი, რათა ამით დიდი მნიშვნელობა მიანიჭოს ამ კონფერენციის წვლილს მშვიდობის განმტკიცების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, ხალხთა ეროვნული განთავისუფლების საქმეში. ამ სახელმწიფოებმა, როგორც ჩანს, გაითვალისწინეს ის სარგებლობაც, რაც შეიძლება მოჰყოლოდა საბჭოთა კავშირთან უშუალო თანამშრომლობას აფრიკა-აზიის ქვეყნების კონფერენციაზე იმ საკითხების გადაჭრის დროს, რომლებიც დაკავშირებულია მსოფლიო სავაჭრო და ეკონომიურ ურთიერთობასთან, ამ დარგში არსებულ უთანასწორობისა და დისკრიმინაციის ლიკვიდაციასთან. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარებისადმი მიძღვნილმა კონფერენციამ, რომელიც ახლახან დამთავრდა ჟენევაში, ცხადყო, რომ ასეთ თანამშრომლობას კარგი შედეგი მოაქვს, თათბირი, რომელზეც ახლა ლაპარაკია, — ეს არის აფრიკა-აზიის ქვეყნების თათბირი. ამიტომ, ბუნებრივია, წარმოიშვა საკითხი ამ კონფერენციაში საბჭოთა კავშირის, როგორც ერთ-ერთი, უდიდესი ქვეყნის, მონაწილეობის შესახებ, რომლის ტერიტორია ეკუთვნის აზიის კონტინენტს, გადაჭიმულია რა მისი სივრცის თითქმის 2/5 ნაწილზე. და პოლიტიკისა და გეოგრაფიის დარგში ვერავითარი დამახინჯებითა და თაღლითობით ვერ გადაადგილებ ურალის ქედს, რომელიც ევროპას აზიისაგან ყოფს, წყნარი ოკეანის ნაპირებთან.

კარგად არის ცნობილი საბჭოთა კავშირის პოზიცია იმ საკითხებში, რომლებიც დასმულია აფრიკა-აზიის ქვეყნების კონფერენციაში საბჭოთა კავშირის მონაწილეობის წინააღმდეგ ეწინააღმდეგები იმ პრინციპებს, მიზნებსა და თვით საფუძვლებს, რომლებიც უდევს ამ კონფერენციის მოწვევას. თუ რაღაც ძალებს თავიანთი ფრაქციული მიზნებისათვის არ სურთ, რომ კონფერენციას დაესწროს საბჭოთა კავშირი, ცხადია, ასეთი ხაზი ზიანს აყენებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ძირს უთხრის ხალხთა შეკავშირებას. ამ ძალთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თუ მოწვეული იქნება საბჭოთა კავშირი, მაშინ ისინი მონაწილეობას არ მიიღებენ კონფერენციაში. ასეთი განცხადება ადასტურებს, რომ ამ ძალებისათვის ყველაზე მთავარია სწორედ ფრაქციული მიზნები, რომელთა გამო მზად არიან უგულებელყონ ხალხთა საარსებო ინტერესები.

საბჭოთა კავშირს, როგორც ცნობილია, თვითონ არ დაუყენებია საკითხი აფრიკა-აზიის ქვეყნების ახალ კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ. ეს საკითხი წამოაყენეს სხვა სახელმწიფოებმა, რომელთა მიმართ საბჭოთა მთავრობა გამოთქვამდა და გამოთქვამს თავის მადლობას. საბჭოთა მთავრობას, ხელმძღვანელობდა რა საერთო საქმის ინტერესებით, უარი არ უთქვამს ამ საკითხის განხილვაზე წინასწარ თათბირზე. რომელიც ჯაკარტაში გაიმართა.

მაგრამ მაშინაც, როცა მეგობარი სახელმწიფოები არკვევდნენ კონფერენციაში საბჭოთა კავშირის მონაწილეობაზე თანხმობის შესაძლებლობას, საბჭოთა მთავრობას სრულიადაც არ მიჰნდა საკვლდებულოდ ასეთი მონაწილეობა. იგი ამუამად უფრო რწმუნდება ამ აზრში. საბჭოთა კავშირს შეუწყნარებლად მიაჩნია, რომ მისი მონაწილეობა ეფუძნოს ვინმეს იმისათვის, რომ უთანხმოება შეიტანოს მათ შორის და ჩამოაცილოს მათი უურადღება დიდ ამოცანებს, რომლებსაც ცხოვრება აყენებს კონფერენციის წინაშე. საბჭოთა კავშირს არ გამოუტანია ინიციატივა აზიისა და აფრიკის ქვეყნების II კონფერენციაში თავისი მონაწილეობის საკითხის დაყენებაში. იგი არ იჩენს ამ ინიციატივას ახლაც და არ იფიქრებს თავს, არც თვითონ, არ ბოჭავს არც სხვებს რაიმე გადაწყვეტილებით ამის შესახებ. მაგრამ ერთია საბჭოთა კავშირის მონაწილეობის მიუღებლობა კონფერენციაში, სხვა საქმეა, — როცა აყენებენ ყოველგვარ მოგონილ მოსაზრებას მისი მონაწილეობის წინააღმდეგ, და ამის გარშემო წარმოებს უპატიოსნო თამაში. აი რატომ მიიჩნია საჭიროდ საბჭოთა მთავრობამ დაუბრუნდეს საკითხს აფრიკისა და აზიის ქვეყნების კონფერენციის შესახებ.

დამოუკიდებლად იმისა, მიიღებს თუ არა მომავალ კონფერენციაში მონაწილეობას საბჭოთა კავშირი, იგი კვლავ განახორციელებს თავის ნაცად კურსს საგარეო საქმეებში. ეს ყველასათვის ნათელი და გასაგები კურსია — მშვიდობის განმტკიცების, მშვიდობიანი თანაარსებობის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, ახალგაზრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარების, თავიანთი მჩაგვრელების — იმპერიალისტებისა და კოლონიზატორების წინააღმდეგ მებრძოლ ხალხთა მხარდაჭერის კურსია. ეს არის მსოფლიოს მთელი პროგრესული, თავისუფლებისმოყვარე ძალების გაერთიანებისა და შეკავშირების კურსი, რასის, ეროვნების, გეოგრაფიული დასახლების განსხვავების მიუხედავად.

ბენ ბელას გადაეცა საერთაშორისო ლენინური პრემია

ალჟირი, 13 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა ცერემონია, ოფიციალურ საერთაშორისო ლენინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ გადასცეს ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს აქმედ ბენ ბელას.

საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის სახელით მაღალი ჯილდო გადასცა კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა დ. ვ. სკობელცინმა.

„ალტეცემულო პრეზიდენტო, — თქვა აკადემიკოსმა სკობელცინმა, ბედნიერი ვარ გადმოგცეთ მთელი ჩვენი მრავალმილიონიანი და მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ი. მიკოიანის უაღრესად მეგობრული და გულწრფელი მოლოცვა.

ცერემონიაზე სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა აქმედ ბენ ბელამ, რომელმაც მადლობა გადაიხადა მაღალი ჯილდოსთვის.

ორგვარი დახმარება

ნიკოზია, 14 აგვისტო. (საკდესი). გუშინ აქ, საერთაშორისო აეროდრომზე, დაეშვა საბჭოთა საჰაერო ლაინერი „ილ-18“, რომელმაც საბჭოთა კავშირიდან ჩამოიტანა ორი ტონა მედიკამენტი და დაკოსხერვებული სისხლი კვიპროსელებისათვის, რომლებიც დახარალდნენ თურქეთის თვითმფრინავების მიერ კვიპროსის მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების ბარბაროსული დაბომბვის დროს.

ბულგარეთიდან აგრეთვე მიღებულია 630 კილოგრამი მედიკამენტი.

ნიკოზია, 14 აგვისტო. (საკდესი). ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიღებული სისხლის პლაზმა უვარგისია გამოსაყენებლად. იგი აღმოჩნდა 12 წლის ვადაგასული და ამიტომ სანიფათოა დაჭრილთა სიცოცხლისათვის. კვიპროსმა უარი თქვა ასეთ „დახმარებაზე“.

საფრანგეთში თითქმის ყოველი დღე აღინიშნება საგაფიცო ბრძოლითა და დემონსტრაციებით. სურათზე: ვალანსიენის (ჩრდილოეთი საფრანგეთი) მეოთხოსნეთა 40-ათასიანი დემონსტრაცია. დემონსტრანტები ხელფასის შემატებას მოითხოვენ.

ფოტო ადნ-საკდესისა.

დიდმნიშვნელოვანი საკითხი

სოფია, 14 აგვისტო. (საკდესი). კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მოწვევა კომუნისტური მოძრაობის დიდმნიშვნელოვანი აქტუალური საკითხია, წერს გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ დღევანდელ მოწინავე სტატიაში, რომელიც ბულგარეთის დეკანეშთა საგენტომ გადასცა. მომძე პარტიებს, კომუნისტური მოძრაობისა და მისი შეკავშირების ინტერესები, საერთაშორისო მუშათა კლასის ინტერესები მოითხოვს მოვამზადოთ და მოვიწვიოთ თათბირი, რათა კოლექტიურად გადაეხილოთ აქტუალური პრობლემები. გამოვნახოთ ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი. მოსკოვის თათბირიდან დაახლოებით ოთხი წელი გავიდა. ეს დროის საკმაო დიდი პერიოდია.

ამრიგად, საკმარისზე მეტი საფუძველია, გადაგრძობს „რაბოტნიჩესკო დელო“, იმისათვის, რომ მოვამზადოთ და მოვიწვიოთ საერთაშორისო თათბირი. მაგრამ მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და სხვა მომძე პარტიები მოითხოვენ თათბირის მოწვევას, და მასასადამე, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთობისა და შეკავშირების განმტკიცებას, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები საწინააღმდეგო პოზიციას ადგანან. მას შემდეგ, რაც ჩინეთის ხელმძღვანელებმა უარყვეს მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციები, უხეშად გათელეს მოსკოვის ორი თათბირის იდეური პოზიციები და მიიღეს ანტილენინური კურსი, ახლა უარს ამბობენ სხვა პარტიებთან კოლექტიურ კონსულტაციებსა და თათბირის მოწვევაზე, ისინი ფიხქვეშ თელავენ კომუნისტური მოძრაობის ორგანიზაციულ დებულებებს, რომლებიც მკაფიოდ ჩამოყალიბებულია დეკლარაციასა და განცხადებაში.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას სურს მოიგოს დრო, რომ უზრუნველყოს თავისთვის მოქმედების თავისუფლება.

ბულგარეთის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, ხაზგასმით აღნიშნავს „რაბოტნიჩესკო დელო“, სავსებით ეთანხმებიან აზრს, რომ საჭიროა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მოწვევა.

ეროვნული ფრონტით

კაირო, 14 აგვისტო. (საკდესი). ომანის რევოლუციური ხალხის წევრმა ემრ მაელ-ჰარისიმ განაცხადა, რომ რევოლუციურ ორგანიზაციებს, რომლებსაც ხალხი ხელმძღვანელობს, განზრახული აქვთ შექმნან ომანის ერთიანი ფრონტი ინგლისის იმპერიალიზმის იმ ფარული გეგმების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც შეიმუშავეს მას შემდეგ, რაც ომანში აღმოაჩინეს ნავთობის დიდი ხანადები.

მაძიმე მემკვიდრეობის ლიკვიდაციის გზა

ნაირობი, 14 აგვისტო. (საკდესი). კოლონიალიზმმა კენიას მემკვიდრეობად დაუტოვა მასობრივი სიღატაკე, უმენურობა, უმეცრება და დაავადებანი, და ახლა კენიელმა ხალხმა დაიწყო ისტორიული ამოცანის გადაწყვეტა — ამ ბორტებთა აღმოფხვრა, განაცხადა კენიის მმართველი პარტიის — აფრიკის ეროვნული კავშირის თავმჯდომარემ, კენიის პრემიერ-მინისტრმა ჯომო კენიატამ.

პაპანდრეუს წერილი

ნიუ-იორკი, 14 აგვისტო. (საკდესი). საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა პაპანდრეუმ საპასუხო წერილში თურქეთის პრემიერ-მინისტრ ინენიუსადმი უარყო მისი წინადადება, რომ მოეწყოს საბერძნეთ-თურქეთის პირდაპირი მოლაპარაკება კვიპროსის საკითხზე. პაპანდრეუმ მხარი დაუჭირა კვიპროსის პრობლემის მოწესრიგებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შუამდგომლობის გზით. ამას იუწყება ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ათენიდან.

ჩვენი ჟურნალის დღეები

მარიონეტი შვეიცარს ითხოვს

კენტაგონი აღიარებს

ვაშინგტონი, 13 აგვისტო. (საკდესი). 265 დახოცილი და ათასზე მეტი დაჭრილი — ასეთია, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს აღიარებით, შედეგი ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა მონაწილეობისა სამხრეთ ვიეტნამის საომარ ოპერაციებში სამი წლის მანძილზე.

ხელში ჩაიგდეს კახარ მუზაკარი

ჯაკარტა, 13 აგვისტო. (საკდესი). დღეს ინდონეზიის გაზეთები იუწყებიან, რომ არმიისა და მოსახლეობის ბმკიცე და შეკავშირებული მოკმედების შედეგად სულავესის კენჭულზე ხელთ იგდეს აღმოსავლეთ ინდონეზიის კონფედერაციულ-ციონერთა უკანასკნელი მეთაური კახარ მუზაკარი.

სირიის პრეზიდენტი

ლონდონი, 14 აგვისტო. (საკდესი). რეუტერის საგენტოს კორესპონდენტი დამასკოდან იუწყება: სირიის რესპუბლიკამ პროტესტი განუცხადა თურქეთსა მთავრობას იმის გამო, რომ ამას წინათ თურქეთის თვითმფრინავებმა დაარღვიეს სირიელ სივრცე და სირიის ტერიტორიულ წყლებში შეეღწინენ თურქეთის საჰაერო ხომალდები.

ოპერაცია ჩაიშალა

ნიუ-იორკი, 14 აგვისტო. (საკდესი). ჩაიფუშა კიდევ ერთი დიდი დამსჯელი ოპერაცია სამხრეთვიეტნამელი პარტიზანების წინააღმდეგ, „რომელზეც დიდის ამბით იუწყებოდა ამერიკის პრესა.

ოპერაცია დაიწყო 12 აგვისტოს. საიგონიდან 46 კილომეტრზე ჩრდილოდასავლეთით 96 ვერტმფრინავიდან, რომლებსაც მართავდნენ ამერიკელი მფრინავები, გადახეს კბანის მარიონეტული ხროვის 1000 ჯარისკაცი იმ რაიონში, სადაც ფიქრობდნენ, რომ განლაგებული არიან პარტიზანები.

ისინი მოულოდნელად უნდა დასხმოდნენ თავს. მაგრამ, როგორც დღეს „დეილი ნიუსის“ საიგონელი კორესპონდენტი ჯოზეფ ფრიდი იუწყება, „პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლაში ამ ყველაზე დიდმა დესანტურმა ოპერაციამ ფიასკო განიცადა. 2.000 წითელმა თავი აარიდა მთავრობის ჯარებთან შეტაკებას და დაიმალა ჯუნგლში“.

დამსჯელებს დაუჭრეს ექვსი და დაუხოცეს სამი ჯარისკაცი.

მღელვარება გრძელდება

ნიუ-იორკი, 14 აგვისტო. (საკდესი). ბოლოდროინდელ სიღატაკეს არ მოჰყოლია სერიოზული ბატერსონში (ნიუ-ჯერსის შტატი). ქალაქში ზედიზედ მესამე დამეა გრძელდება ზანგთა მღელვარება.

წესრიგის 200 დამცველს, რომლებიც გაგზავნეს ზანგთა კვარტალებში, დღეს დაუშინეს ქვები და ცარიელი ბოთლები. მღელვარების ერთ-ერთი მიზეზია უკმაყოფილება საბინაო პირობებით.

როგორც ამერიკელი კორესპონდენტები ბატერსონიდან იუწყებიან, პოლიციამ დაიპატიმრა სულ ცოტა 20 ზანგი და აღნიშნა, რომ „კიდევ მეტს დაიპატიმრებს“. ყოველგვარი თავყრილობა ქორწილის გარდა, აკრძალულია.

კუ-კლუკს-კლანი გოლდუოტერის მხარეზეა

ნიუ-იორკი, 14 აგვისტო. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო იუწყება, რასისტული ორგანიზაციის „ამერიკის გაერთიანებული კლანების“ დიდმა დრაკონმა რობერტ შელტონმა, რომელიც გუშინ გამოვიდა მაიამიში (ფლორიდის შტატი), მოუწოდა კუ-კლუკს-კლანის წევრებს ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში ხმა მისცენ ბარი გოლდუოტერის კანდიდატურას რესპუბლიკური პარტიისაგან.

ჩვენი მიმოხილვა

დრო და მოვლენები

რით იზომება დრო? უცნაური კითხვაა. რა თქმა უნდა, წუთებით, საათებით, დღეებით, თვეებით და ასე შემდეგ. უეჭველია, ასეა. მაგრამ, მეორე მხრივ, ვინ მიუდგება, ვთქვათ, გასულ ივლისის თვეს იმ სახით, რომ იგი ოცდათერთმეტი დღით არის? ადამიანები დროს განსჯიან ხოლმე იმ მოვლენათა მიხედვით, რომლებიც მას აღფენენ და განსაზღვრავენ.

და, ეგონებ, ადამიანები წინათ ისე უშუალოდ არ დაინტერესებდნენ ხოლმე სწორედ საერთაშორისო მოვლენებით, როგორც ამჟამად. საქმე ის არის, რომ ეგრეთწოდებული მაღალი პოლიტიკა უკვე როდია რაღაც გახუნებული რამ, რაც სულაც არ ეხება უბრალო ადამიანის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებას. იგი გადაშლის ხოლმე გაზეთს ან ეკრანზე, თითქოს დარაბას აღებდეს საკუთარ სახლში, და ამბები, რომლებიც დედამიწის თუნდაც სულ შორეულ კუთხეში ხდება, აღელვებენ მას ისე, თითქოს ისინი მის კიბეზე მომხდარიყოს. იმაზე თუ როგორია ეს ამბები, დამოკიდებული იქნება, მშვიდად დაიძინებს იგი თუ არა, გულდაჯერებით შეუღლია შეჰყურებდეს თავისი შვილების მომავალს თუ არა, და ასეა ყველაფერში...

თუ ამ საზომით მივუდგებით ისტორიამი გადასულ ივლისსა და აგვისტოს პირველ დეკადას ძნელი არ იქნება შევამჩნიოთ ერთი, ფრიად დამახასიათებელი ნიშანი — ამ თვეებს კოლონიალიზმის ძალების გარკვეული აქტივიზაცია მოჰყვა. სასიკეთოდ დავრჩილმა მტაცებელმა ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ იგი საშიშია სწორედ იმიტომ, რომ მისი დღეები დათვლილია და იგი მზად არის ყოველგვარი ავანტიურისათვის. კოლონიზატორთა საისრეში ბევრი მოშმაღული ისარია — პირდაპირი აგრესია, არაპირდაპირი აგრესია, ძირგამომთხრელი საქმიანობა, დიპლომატიური ზეგავლენა, შანტაჟი და ა. შ. ამ მოშხამულ ისრებს ისინი დედამიწის თითქმის ყველა რაიონში იყენებდნენ.

სამხრეთი ვიეტნამი. აქ საქმე გვაქვს ამერიკის იმპერიალიზმის აშკარა აგრესიასთან. თვის ბოლოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მითითება მისცა მნიშვნელოვნად გაედიდებინათ სამხედრო დახმარება ვენერალ კხანის მარიონეტული რეჟიმისათვის. ამ ნაბიჯის მნიშვნელობა საიდუმლოებას არ წარმოადგენს — საქმე ეხება ცხადია არა მარტო ჩაახშონ სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, არამედ გაავრცელონ ომი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზეც.

სამხრეთ ვიეტნამი ომის ერთადერთი კერა როდია სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში. ელჭექის ღრუბლები კვლავ ჩამოწოლილია ლაოსსა და კამბოჯაზე. ჟენევის შეთანხმებათა საწინააღმდეგოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ლაოსში დატოვეს თავიანთი სამხედრო პერსონალი და განაგრძობენ ცალმხრივი სამხედრო დახმარების გაწევას ამ ქვეყნის რეაქციული ძალებისათვის. ამერიკის ავიაცია უხეშად აღოვვეს ლაოსის სუვერენიტეტს დაზვერვითს გაფრენებს აწყობს მისი ტერიტორიის თავზე და ყუმბარებსა და ტყვიას უშენს იმ რაიონებს, რომლებსაც კონტროლს უწევენ პატეტ ლაოს პატრიოტული ძალები. ამავე დროს კოლონიზატორები ხელყოფენ კამბოჯის ნეიტრალიტეტს. როგორც განაცხადა კამბოჯის სახელმწიფოს მეთაურმა პრინცმა ნოროდომ სიანუკმა, ვაშინგტონს სურს შეცვალოს მისი ქვეყნის რეჟიმი, რათა მან მორჩილად დაიდგას სეატოს აგრესიული ბლოკის უღელი.

დამაფიქრებელია აგრეთვე მალაიზიის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის ადგილ რაჰმანის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს ფედერაცია ინგლისელ კოლონიზატორთა გამონაგონია. მისი მიზანია გათიშოს სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნები და იმპერიალიზმის იღონ ნადავლად აქციოს ისინი. მაგრამ ინგლისს აშკარად არ ჰყოფნის ძალები, რომ წარმატებით განახორციელოს ეს გეგმა. აი სწორედ ამიტომ ეწვია ადგილ რაჰმანი ვაშინგტონს, სადაც ითხოვა სამხედრო დახმარება ინდონეზიის მიმართ მტრული პოლიტიკის განსახორციელებლად.

იუწყებიან, რომ ამ თხოვნას კეთილგანწყობილად შეხვდნენ ვაშინგტონში. იქ დაინტერესებული არიან მალაიზიით როგორც უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ნედლეულის წყაროთი და ისეთი დამოუკიდებელი და ნეიტრალური სახელმწიფოების წინააღმდეგ პროვოკაციების იარაღით, როგორიც ინდონეზიაა. არც ინგლისელებს სძინავთ. მათ თავი მოუყარეს თავიანთ შეიარაღებულ ძალებს სინგაპურში და ჩრდილოეთ კალიმანტანში ინდონეზიის საზღვრებს ახლოს.

ახლა ვნახოთ, რა ხდება ლათინურ ამერიკაში. ამერიკის შეერთებული შტატები — საერთაშორისო ყაიდარმი — არ წყვეტენ თავიანთ ცდებს ჩაახრჩონ კუბა. თავისუფლების კუნძული აშინებს იანკი იმპერიალისტებს იმით, რომ იგი მისაბაძი მაგალითია, რომელიც გამარკვევლუციურებელ გაკვლევას ახდენს ლათინური ამერიკის მთელ კონტინენტზე. ივლისის მეორე ნახევარში ვაშინგტონში გაიმართა სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მოწვეული თათბირი ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებისა. ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენის ქვეშ მდგომ ამ თათბირზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კუბის წინააღმდეგ ყაბადაღებული „კოლექტიური სანქციების“ გამოყენების შესახებ. ამ სანქციებში შედის მოთხოვნა დიპლომატიური ურთიერთობა არ იქონინონ კუბასთან, შეწყვიტონ მასთან ვაჭრობა.

მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამერიკელი კოლონიზატორები სჯერდებიან მხოლოდ დიპლომატიურ და ეკონომიურ ღონისძიებებს, როცა საქმე ეხება კუბას. იყენებენ რა თავიანთ სამხედრო ბაზას გუანტანამოს, ამერიკის შეერთებული შტატები ხშირად აწყობენ სამხედრო პროვოკაციებს კუბის წინააღმდეგ. 19 ივლისს გუანტანამოს რაიონში მათ მოკლეს ახალგაზრდა კუბელი ჯარისკაცი ცხრამეტი წლის რამონ ლოპეს პენია. ამ ავაზაკურმა მკვლელობამ მთელი მსოფლიო აღაშფოთა. და შემთხვევითი როდია, რომ ეს მკვლელობა მოხდა ვაშინგტონის ზემოხსენებული თათბირის გახსნის წინ. ყველაფერი ეს ერთი ჯაჭვის რგოლებია.

რ ამდენიმე სიტყვა აფრიკასა და არაბულ აღმოსავლეთზე. აქაც ადგილი აქვს კოლონიალიზმის ძალების აქტივიზაციას. ინგლისი ირაღლის ძალით კვლავ ერევა ადენის, ომანის, სამხრეთ არაბეთის საქმეებში. ალჟირში კოლონიზატორებმა მოაწყეს კონტრრევოლუციური ამბოხება ყოფილ პოლკოვნიკ შაბანის ხელით. მას ზურგს უმაგრებდნენ სწორედ ის იმპერიალისტური ძალები, რომლებიც დაინტერესებული არიან საჰარის ნავთობით. კოლონიზატორთა აგენტური არ მოერიდა ამას, რომ მოეწყო დივერსიული აქტი — აფეთქება ეგვიპტის გემ „ალექსანდრიის ვარსკვლავზე“, როცა მან ღუზა ჩაუშვა ქალაქ ანაბის (ალჟირი) სანდაო ნავსადგურში.

სურათის სისრულისათვის ვთქვათ ისიც, რომ მეტად საგანგაშოა კვიპროსის საკითხი. მრავალტანჯულ კუნძულს კვლავ ინაწილებენ ჩრდილოეთ ატლანტიკის შტაცებლები.

ეს რა ნაბიჯებია?

ჯერ ერთი, წარმოებს მზადება იმისათვის, რომ სანაოსნოდ გაიგზავნოს ამერიკის საესკადრო ნაღმოსანი რაკეტმზიდი „ბიდლი“, რომელზეც იქნება ნატოს ქვეყნების ოფიცრებისა და მატროსებისაგან შემდგარი ნარევი ეკიპაჟი. ამასთან ამ ეკიპაჟში დასავლეთგერმანული კონტინგენტი რიცხვის მხრივ მეორე იქნება ამერიკულის შემდეგ. „ბიდლის“ ნაოსნობა პირველი ცდა უნდა გახდეს ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნაში.

მეორე, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ნატოს სამხედრო ბლოკთან დადო შეთანხმება მისთვის სხვადასხვა ინფორმაციის გადაცემაზე, რომელიც ატომურ იარაღს ეხება. ეს შეთანხმება ხელს უწყობს ატომური იარაღის გავრცელებას და, რაც ყველაზე საშიშია, შესაძლებლობას აძლევს ბონელ რევანშისტებს დაიჩქარონ აგრესიული ბუნებისეური რაკეტულ-ატომური შეიარაღება.

ა გრესია საგარო პოლეტიკაში, რეაქცია — საშინაოში. ასეთია ერთი შეხედვა ორი მხარე. ამას საუკეთესოდ ადასტურებს „ცოფიანი“ გოლდუოტერის არჩევა რესპუბლიკური პარტიის კანდიდატად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე. გოლდუოტერმა თავის დროზე ხმა მისცა მოსკოვის ხელშეკრულების წინააღმდეგ, ხანგებისათვის მოქალაქეობრივი უფლებების მინიჭების წინააღმდეგ. იგი მოითხოვს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას, კუბაზე თავდასხმას, ამერიკის შეერთებული შტატების ატომურ საიდუმლოებათა გადაცემის საშიროების შესახებ, ნატო, რომელიც ეხება გერმანიის პრობლემას, და ა. შ. დიახ, მოსკოვი კვლავ წარმოადგენს გაცხოველებული დიპლ

გვაცყობინებენ აას-ის და „კომუნისტის“ მკითხველები, კორესპონდენტები

„ალაზანი“ სუეცში

ამ დღეებში სუეცის ნავსადგურიდან ფოთში დაბრუნდა „საქთევზმრეწვის“ ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს სატრანსპორტო-სამაცივრო რეფრიჟერატორი „ალაზანი“.

რვა დღეღამის განმავლობაში „ალაზანმა“ 1700 მილი ცისფერი გზა გაიარა და სუეცის ნავსადგურში შეხვდა ტრაულერ „ზოთა რუსთაველის“-ს ეკიპაჟს. ეს იყო, გვიამბობენ „ალაზნის“ კაპიტანი სიმონ ასვადუროვი და ტექნიკურ კონსულტანტად მიელინებული სამმართველოს მთავარი ინჟინერი დევი კარტოზია, ნამდვილი ძმური, გულთბილი შეხვედრა. ჩვენ ტრაულერის ეკიპაჟს მივუტანეთ დიდძალი პროდუქტები, ამანათები, ჟურნალ-გაზეთები, ახალი კინოფილმები, დოკზე დაუყენებლად, მყვინთავების საშუალებით შევაკეთეთ ტრაულერის სადიზელო მოწყობილობა.

მალე ამ ხომალდების გზები გაიყარა: „ზოთა რუსთაველმა“, რომელმაც განვლილ ხუთ თვეში დაიჭირა 856 ტონა თევზი, ამჟამად კურსი ატლანტიკის ოკეანისაკენ აიღო. იქ მისი ეკიპაჟი ნოემბრის ბოლომდე დარჩება და ახალ თევზსაჭერ რაიონებში განაგრძობს რეწვას. „ალაზანი“ კი უკან გამობრუნდა.

მშობლიურ ქალაქ ფოთში „ალაზანმა“ თან ჩამოიტანა „ზოთა რუსთაველის“ მიერ დამზადებული 48 ტონა თევზის ფქვილი და დიდი რაოდენობით ოკეანის გაყინული თევზეული.

კ. კომახიძე.



ჯერ კიდევ ჩქეფს პიონერული ზაფხული, არდადეგებია.

ქობულეთის თვალწარმტაცი მიდამოებში, მოლივლივე შავი ზღვის პირას გაუმართავთ პიონერთა ბანაკი. აქ 128 ბავშვი ისვენებს და იკაჟებს სხეულს, რომ განახლებული ენერგიით, გაჯანსაღებული შეუდგნენ სწავლას. ბანაკი ეკუთვნის კავშირგაბმულობის, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტს.

სურათზე: პირველი რაზმის პიონერები მზის აბაზანებს იღებენ.

ფოტო გ. სანაიასი.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

გვეწვიეთ სპექტაკლებზე

ჩრდილოეთის ფლოტის თეატრი თბილისში

დღეს თბილისში ა. ერიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შემადგენლობაში გასტროლებს იწყებს ჩრდილოეთის ფლოტის დრამატული თეატრის (ქ. მურმანსკი) კოლექტივი. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში თეატრის უფროსმა მეორე რანგის კაპიტანმა ი. დ. იარცევმა თქვა:

— **ჩრდილოეთის** ფლოტის პროფესიული დრამატული თეატრი 1935 წელს შეიქმნა. ასე რომ მომავალი 1964-65 წლების სეზონი ჩვენთვის საიუბილეოა. თეატრის ერთ-ერთი პირველი სპექტაკლები იყო ბ. ლავრენევის „რღვევა“ და ა. კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვა“.

თავისი არსებობის თითქმის 30 წლის მანძილზე თეატრმა შექმნა ბევრი საინტერესო სპექტაკლი, რომელებშიც ასახულია ჩვენი თანამედროვე ადამიანების სულიერი სიმდიდრე და სილამაზე. ჩვენი თეატრის შემოქმედებითს ცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდნენ კ. ტრენიოვის, ლ. ლეონოვის, ბ. ლავრენევის, ხ. პოგოდინის, ვ. ვიშნევსკის, ა. კორნეიჩუკის, ვ. არბუზოვის, ვ. როზოვის პიესებში შექმნილი მხატვრული სახეები.

თეატრი ჯეროვან ყურადღებას უთმობს კლასიკას. მ. გორკის „მეშჩანები“, „ფსკერზე“, „ეგორ ბულიჩევი და სხვები“, შექსპირის „ოტელო“ და „შეცდომათა კომედია“, გოლდონის, ლოპე დე ვეგას, შილერის პიესები, ა. ოსტროვსკისა და ა. ჩეხოვის საუკეთესო დრამატული ქმნილებები — ასეთია თეატრის კლასიკური რეპერტუარის არასრული სია.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ გმირულ-რომანტიკული ჟღერადობის ისეთი სპექტაკლების შექმნას, რომლებიც რეალისტურად ასახავენ საბჭოთა არმიისა და ფლოტის მებრძოლთა ყოფაცხოვრებასა და საქმიანობას.

თეატრი ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქში ყოფილა საგასტროლოდ, ხოლო 1960 წელს მოსკოველებსაც ვუჩვენეთ ჩვენი ხელოვნება.

ამჯერად კი, როგორც ხედავთ, მშვენიერი თბილისის სტუმრები ვართ, და როგორც პირველი შეხვედრებიდანვე ვიგრძენით, — სასურველი სტუმრები.

თბილისელი მაყურებლები ნახავენ ჩვენს შვიდ სპექტაკლს. რეპერტუარი ასეთია: ე. ბონდარევის „თოლიები ზღვაზე“, ე. შატუკოვსკის „ჯარისკაცის სულ“, ე. ჩერტკოვის „ზღვაზე მრავალი გზაა“, უ. შექსპირის „შეცდომათა კომედია“, ა. სალინსკის „მედაფდაფე ქალი“, ა. ანდრეევის „განგვსაჯეთ, ხალხო“, ვ. როზოვის „ქორწილის დღეს“.

თეატრის მთავარი რეჟისორია რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. შოიხეტი, სპექტაკლებში მონაწილეობენ რსფსრ სახალხო არტისტი ს. პროსტიაკოვი, რსფსრ დამსახურებული არტისტები ვ. ზატეპაიკინა, ს. ახანოვი, გ. გრაბი ვ. ზატეპაიკინა, ს. ახანოვი, გ. გრაბი დოვი, ა. ნაიჩუკი, ს. სკვორცოვი.

გვეწვიეთ ჩვენს სპექტაკლებზე, თბილისელებო!

ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲔᲑᲗᲐᲜ — ᲘᲐᲚᲐᲦᲔᲑᲖᲔ

საჩხერე. (საკ. კორ.). არგვეთის ზონის კოლმეურნეობათა პირუტყვი საზაფხულო საძოვრებზეა. აქ არიან ფერმების მუშაკებიც — მწყემსები, მწველავები, სპეციალისტები. მათ ამას წინათ ესტუმრა არგვეთის კულტურის სახლის კოლექტივი, რომელმაც მოაწყო თეორიული კონფერენცია.

მეცხოველეობის პროდუქტების გადიდების გზებსა და რეზერვებზე მოხსენებით გამოვიდა ვეტექიმი კ. კირკალიძე.

აგრონომმა მ. ბერიძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე — ქიმიზაციის როლი მეცხოველეობის განვითარებაში. მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულების შემცირების ღონისძიებებზე ილაპარაკა აგრონომმა ქ. კურცხალიამ.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲒᲕᲔᲬᲕᲘᲔᲗ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲔᲑᲖᲔ

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲯᲐᲜᲯᲐᲮᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ

მთის რაჭაში დღემდე შემორჩენილია მატერიალური კულტურის საყურადღებო ძეგლები, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ სათანადოდ შესწავლილი არ არის.

მათ შორის სინტერესოა ძველი გლოლა, სადაც ბოყოსა და ჭანჭახის წყალს შუა ერთ მაღალკლდოვან კონცხზე, ყვირეთის ქედს რომ ცხვირივით წამოზრდია, აღმართულია ძველი ციხესიკა და ციხე-გალავანის ნანგრევები. ამის შესახებ იყო, ვახუშტი რომ წერდა: „არს გლოლა, დაბა მსგავსი ციხისა, კოშკოვან-გოლდოვან ზღუდიანი. შიგ ეკლესია, აღვსილი ოქრო-ვერცხლის ხატითა და ჯვრითა, და წიგნებითა ძველთადვე ხიზნულნი“.

გაზეთი „ივერია“ (1902 წ., № 177) აღნიშნავდა გლოლის მაღალხარისხოვან მხატვრობას. სამწუხაროდ, ეკლესიისაგან, რომელიც წინათ ლამაზი ფრესკებით და წარწერებით ყოფილა შემკობილი, ნანგრევებიღაა შემორჩენილი. ეს არის ოთხკუთხა ციხისმსგავსი შენობა, რომლის სარკმლები, ჯვრის ფორმისა, დღესაც ნათლად ჩანს სამხრეთ-დასავლეთ კედელზე. საყურადღებოა, რომ საგანგებოდ შერჩეული ეს მაღალკლდოვანი კონცხი წარმოადგენდა სათვალთვალო პუნქტს, საიდანაც კარგად მოჩანდა ყველა გზა თითქმის მამისონის გადასასვლელამდე.

გლოლის ციხე-სიმაგრემ თავის დროზე დიდი როლი შეასრულა მამისონის გზისა და კომუნიკაციების დაცვის საქმეში, ის კეტავდა ჭანჭახის ხეობას და იცავდა მამისონის გზას.

მაგზავრს თუ სურს დატკბეს ბუნების მშვენიერებით, ამ გორაზე უნდა ავიდეს. აქედან კარგად ჩანს შოვის თვალწარმტაცი მიდამოები, თვალწინ იშლება ჭანჭახის ხეობა თავისი ღელე-ხევებით, წიწვიანი ტყეთ, მთათა ფერდობებით და მარად თოვლით შეკერცხლილი კავკასიონის ბუმბერაზი მწვერვალებით.



სურათზე: გლოლის ციხე-გალავანი.
ტექსტი და ფოტო ს. რეხვიაშვილისა.

ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲗᲕᲘᲡ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ!

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲧᲝᲤᲐ-ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲚᲐᲓ

ᲛᲪᲘᲠᲔᲒᲐᲑᲐᲠᲘᲢᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲠᲔᲪᲮᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ „ᲓᲝᲜᲑᲐᲡᲘ“

ქალაქ ყდანოვის სარეცხი მანქანების სამშენებლო ქარხანაში ახლახან აითვისეს მცირეგაბარიტიანი ნახევრად ავტომატური „სმმ-2“ ტიპის სარეცხი მანქანის „დონბასის“ გამოშვება ცენტრიფუგით, ტაიმერითა და ტუმბოთი.

„დონბასი“ აღჭურვილია ორი ელექტროძრავით. ერთის, აქტივატორის საბრუნავი ძრავის, სიმძლავრეა 180 ვატი, მეორისა, რომელიც ცენტრიფუგას ამუშავებს, 65 ვატი. სარეცხი ავზი უფანგავი ფოლადის ფურცლებისგან არის შედუღებული. ცენტრიფუგის კალათა კი ალუმინისაა და იტევს 3 კილოგრამ მშრალ სარეცხს.

მიმდინარე წლის ბოლომდე ქარხანას დაგეგმილი აქვს 5.000 ცალი ასეთი სარეცხი მანქანის გამოშვება.

ᲘᲐᲢᲐᲙᲡᲐᲠᲔᲪᲮᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲬᲣᲠᲐᲕᲘᲗ

მოსკოვის მექანიკურ ქარხანა „ტექსტილმაშდეტალში“, სადაც წინათ მარტივ იატაკსარეცხებს ამზადებდნენ, შექმნეს ახალი იატაკსარეცხი ხელსაწყო, რომელიც აღჭურვილია მექანიკური გამწურავით. იატაკსარეცხს თან ახლავს პროლონის სათადარიგო კომპლექტი. იატაკის რეცხვისას სარეცხის ჭუჭყიანი წყლისაგან გასაწურავად საკმარისია ტარსდატანებულ ჩამკეტ ბერკეტს ხელი დავჭირთ, რათა პროლონის სარეცხი ექანიკურად გაიწუროს.

ქარხანას დაგალებული აქვს მიმდინარე წლის ბოლომდე გამოუშვას 120 ათასი ცალი ასეთი იატაკსარეცხი. ფასად დაწესებულია 3 მანეთი.

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ — ᲙᲐᲙᲐᲠᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲫᲚᲔ ᲬᲘᲜᲓᲘᲡᲘ

გულდასაწყვეტია ქალებისათვის, როცა მაღალყელიან წინდის, ზოგჯერ ახლად ნაყიდსაც, მოულოდნელად ბალი ჩაუვარდება, რღვევას იწყებს. ქალებისათვის საინტერესო სიახლეა მაღალყელიანი კაპრონის გამძლე წინდა, რომელიც შეკერილია კაპრონისაგან ტილოსგან, ქსოვის ისეთი კონსტრუქციული თავისებურებით, რომ „თვალის ჩავარდნა“ გამორიცხულია. ასეთი შეკერილი მაღალყელიანი წინდის გამძლეობა ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე იმავე კაპრონის ბოჭკოსგან მრგვალ კოტონურ მანქანაზე მოქსოვილი წინდისა. გარდა გამძლეობისა, კაპრონის ტილოსგან გამოჭრილი და შეკერილი მაღალყელიანი წინდის უპირატესობა ისიც არის, რომ კოტონ-წინდასთან შედარებით უფრო იაფი ჯდება, გამოჭრისას მიღებული ნარჩენები ხმარდება წინდის სატერფისა და საქუსლის განმტკიცებას.

კალინინის პირველმა სატრიკოტაჟო ფაბრიკამ აითვისა ასეთი მაღალყელიანი გამძლე წინდების გამოშვება. ნიშეში, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, წარდგენილია მოსკოვის სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ მოწყობილ ახალ ნაწარმთა გამოფენაზე.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲛᲝᲢᲝᲪᲘᲙᲚᲘ

ᲕᲘᲜᲘᲡᲘᲡ მოტოციკლურ ქარხანამ გამოუშვა მსუბუქი კლასის ახალი მოტოციკლი „მ-104“. მისი გაბარიტები (მილიმეტრობით): სიგრძე — 1930, სიმაღლე — 1000, ბაზა — 1230 — 1255, წონა — 90 კილოგრამი. მოტოციკლი ერთცილინდრიანია, ორტაქტიანი ძრავით. ცილინდრის მოცულობა 123 კუბური სანტიმეტრია, სიმძლავრე — 5,5 ცხენის ძალა. ასფალტიან გზაზე მანქანა ავითარებს 75 კილომეტრზე მეტ სიჩქარეს საათში. 100 კილომეტრ მანძილზე (საშუალოდ 50 კილომეტრი საათობრივი სიჩქარით მოძრაობისას) ხარჯავს 2,45 ლიტრ საწვავს. საწვავის ავზი იტევს 9 კილოგრამს.

მოტოციკლის საჭე საყრდენი ტელესკოპური ტიპისაა ჰიდრავლიკური ამორტიზატორებით. უკანა თვლის რხევას ითვისებს და აბრუნებს ორი ცილინდრული მოყვანილობის ზამბარა, რომლებიც აგრეთვე ჰიდრავლიკური ამორტიზატორებით არიან აღჭურვილნი.

მოტოციკლის საორიენტაციო ფასია 300 მანეთი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ ● ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ

ᲛᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ

მინსკი. (სპეც. კორ.). გრძელდება საკავშირო სამგადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირები ვაჟთა შორის. მინსკის ჯგუფში გავლილია დისტანციის თითქმის ნახევარი, წარმატებით გამოდის გროსმაისტერი სუეტინი, რომელიც ჯერჯერობით ლიდერობას არავის უთმობს და ფინალის პირველი კანდიდატია.

რვა ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება, რომლის შედეგებმა სატურნირო ცხრილში გარკვეული სიცხადე შეიტანა.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს — გაფრინდაშვილსა და გურგენიძეს თითო პარტია ჰქონდათ გადადებული. გაფრინდაშვილს გროსმაისტერ სუეტინთან პაიკი აკლდა, ამასთან პოზიციაც არასახარბიელო ჰქონდა, ამიტომ მან ბრძოლის გაგრძელება ზედმეტად ჩათვალა და დათმო პარტია. მართალია, გურგენიძეს ვოორემაასთან გადადებულ პარტიაში მცირე უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ იგი მოგებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა და ბოლოს მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

დანარჩენი გადადებული პარტიების შედეგები ასეთია:

ბოიარინოვმა მოუგო კრუტიხინს, შაგალოვიჩმა — სავონს, პეტერსონმა — ხოდოსს, ზახარიანმა —სავონს, პეტერსონმა — შაგალოვიჩს, ხოდოსმა — კრუტიხინს. სუეტინ—სავონის, მუხინ—პეტერსონის, მიკენას—კრუტიხინის და ხოდოს—ნოსკოვის პარტიებში მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ორი პარტია — სავონ-ვოორემასა და ბოიარინოვ-ზილბერს შორის კვლავ დაუმთავრებელი დარჩა.

რვა ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში მდგომარეობა ასეთია: **სუეტინს** 7 ქულა აქვს, **პეტერსონს** — 5,5 ქულა, **ბოიარინოვს** — 5 ქულა და 1 გადადებული პარტია, **ხოდოსს** — 5 ქულა.

გურგენიძეს 4 ქულა აქვს, გაფრინდაშვილს — 2,5 ქულა.

გუშინ ნახევარფინალის მონაწილეები იხვენებდნენ. დღეს გაიმართება მეცხრე ტური.

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲠᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ტოკიო, 14 აგვისტო. (საკადესის კორ. გ. გაგრილეანო). დღეს უჩვეულო რეკისით წავიდა თვითმფრინავი იაპონის დედაქალაქის აეროდრომიდან. იგი საბერძნეთიდან იაპონიაში ჩამოიტანეს ზმიდა ოლიმპიურ ცეცხლს.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲞᲝᲡᲢᲘ

ᲛᲐᲢᲩᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘᲗ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „დინამოს“ სასროლეთზე დასასრულს უახლოდება ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ტყვიის სროლაში. ეს შეჯიბრება, რომელიც ხასიათდება მაღალი სპორტული შედეგებით, წარმოადგენს ტოკიოს ოლიმპიური ასპარეზობის წინ ძალთა შემოწმებას.

უკანასკნელ დღეებში დამყარებულ ქნა სსრ კავშირის რამდენიმე ახალი რეკორდი. მათი უმეტესობა აღმატება მსოფლიო რეკორდებს.

გუშინ სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **მ. ნიაზოვმა** ნებისმიერი საბრძოლო შაშხანის ჩოქელა მდგომარეობით სროლაში 300 მეტრზე 400-დან 394 ქულა შეაგროვა და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დამყარა. ეს შედეგი 6 ქულით უკეთესია შვეიცის მსროლელ კლიბერგის მსოფლიო რეკორდზე.

მცირე კალიბრიანი პისტოლეტის სილუეტებზე ჩქაროსნულ სროლაში ჩემპიონი გახდა მოსკოველი **ა. სავონა.** მან 600-დან 584 ქულა შეაგროვა.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ

სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში დასკვნითს ფაზას მიუახლოვდა. 206 კოლექტივიდან მის რიგებს მხოლოდ რვამდე გუნდი შერჩა. უკანასკნელ მეოთხედფინალისტს გამოავლენს დღევანდელი მატჩი მოსკოვში დედაქალაქის დინამოელებსა და მათს თბილისელ თანაკლუბელთა შორის.

მრავალი წლის მანძილზე პირველი შემოსვლაა, როდესაც მეოთხედფინალში „ბ“ კლასის ვერცერთ წარმომადგენელს ვერ ვხედავთ. რაც შეეხება „ა“ კლასის მეორე ჯგუფის 26 გუნდიდან (გომელის „სპარტაკს“ გათამაშებაში მონაწილეობა არ მიუღია) მეოთხედფინალში მხოლოდ ვილნიუსის „ჟალგირისი“ გავიდა, რომელიც 30 აგვისტოს მოსკოვში ადგილობრივ სპარტაკს შეხვდება.

თუ სად უნდა ითამაშონ გუნდებმა, ეს დამოკიდებულია იმაზე, მეტოქეებს რამდენი მატჩი აქვთ ჩატარებული მოწინააღმდეგისა და საკუთარ მოედანზე. ეს რიცხვები თუ თანაბარი აღმოჩნდა, მაშინ საკითხი გადაწყდება წილისყრით.

ᲛᲐᲛᲐᲪᲘ ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔᲔᲑᲘ

მახარაძე. (საკ. კორ.). რაიონის მონადირეთა საზოგადოებამ მინიმუმამდე შეამცირა ბრაკონიერობა. მარტო 1963 წელში რამდენიმე ბრაკონიერი გამოავლინეს და გასამართლეს. ამის შედეგად მნიშვნელოვნად მომრავლდა ტყის მშვენება — შველი, არჩი და სხვა ძვირფასი ჯიშის ცხოველები.

ამასთანავე რაიონის მამაცმა მონადირეებმა გაანადგურეს მტაცებლები. მარტო მონადირე ბ. სიმაინშვილმა წელს 5 დათვი მოკლა. სულ რაიონში 14 დათვი, მრავალი ტურა და სხვა მტაცებელი ნადირი მოსპეს.

სანადირო და სამეურნეო საქმიანობაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის მახარაძეს მონადირეებს საქართველოს სსრ მონადირეთა კავშირის პრეზიდიუმის გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი ჯილდო მიეკუთვნა.

ამ დღეებში საქართველოს მონადირეთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ს. როსტიაშვილმა საზეიმო ვითარებაში გადასცა დროშა მახარაძის მონადირეთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს ვ. ჭინჭარაძეს.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ოსმა პოეტმა რევაზ ასაევმა საოლქო გაზეთების „სოვეთონ ირინსთონისა“ და „საბჭოთა ოსეთის“ ფურცლებზე საზოგადოებრივ საწყისებზე გამოაქვეყნა თავისი ახალი ლექსები. რ. ასაევის მაგალითს მიბაძეს მისმა თანამოკალმეებმა ნაფი ჯუსოევმა და ხაჯიმურატ ძაცოევმა.

ა. ᲪᲝᲮᲜᲘᲐᲨᲘᲚᲘ.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ სტადიონ-იპოდრომის მოძრავ თეატრში თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობთა მონაწილეობით გაიმართა კონცერტი, რომელსაც მშრომელები ინტერესით შეხვდნენ.

ბ. ᲐᲚᲐᲨᲘᲐᲜᲘᲐ.

ᲐᲮᲐᲠᲘᲡ ასსრ კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა კულტურის სახლის თეატრალური კოლექტივი ახმეტელ მშრომელებს ეწვია და მაყურებელს უჩვენა სტეფანესკის კომედია „ჯადო“.

ბ. ᲨᲘᲜᲯᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ „ᲐᲒᲘᲢᲞᲠᲝᲠᲘ“ №15

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების ჟურნალ „**საქართველოს აგიტპროპი**“ მორიგი, მეთხუთმეტე ნომერი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘᲗ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „დინამოს“ სასროლეთზე დასასრულს უახლოდება ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ტყვიის სროლაში. ეს შეჯიბრება, რომელიც ხასიათდება მაღალი სპორტული შედეგებით, წარმოადგენს ტოკიოს ოლიმპიური ასპარეზობის წინ ძალთა შემოწმებას.

უკანასკნელ დღეებში დამყარებულ ქნა სსრ კავშირის რამდენიმე ახალი რეკორდი. მათი უმეტესობა აღმატება მსოფლიო რეკორდებს.

გუშინ სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **მ. ნიაზოვმა** ნებისმიერი საბრძოლო შაშხანის ჩოქელა მდგომარეობით სროლაში 300 მეტრზე 400-დან 394 ქულა შეაგროვა და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დამყარა. ეს შედეგი 6 ქულით უკეთესია შვეიცის მსროლელ კლიბერგის მსოფლიო რეკორდზე.

ᲒᲣᲨᲘᲜ შედგა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების ექვსი მატჩი ფეხბურთში.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ პაექრობას წარმოადგენდა ლიდერთა ჯგუფს წარმომადგენლებს მოსკოვის „ტორპედოსა“ და ცსკა-ს შეხვედრა ლუჟნიკში. შეუპოვარი ბრძოლა დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით — 1:0.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ თამაშობდნენ ადგილობრივი „ზენიტისა“ და ალმა-ატის „კაირატის“ კოლექტივები. შეხვედრის შედეგია 1:0 „ზენიტის“ სასარგებლოდ.

ᲛᲘᲜᲡᲙᲘᲡ დინამოელებს ეწვივნენ ბაკოს „პიფტიანიკის“ ფეხბურთელები. შეჯიბრება დამთავრდა ბაკოელთა გამარჯვებით 2:0.

ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲚᲨᲘ „შინიკისა“ და დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდების შეჯიბრების შედეგია ფრე — 1:1.

ᲙᲣᲑᲘᲑᲨᲘᲗᲘᲡ „კრილია სოვეტოვი“ საკუთარ მოედანზე თამაშობდა კიშინიოვის „მოლდოვასთან“ და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1.

ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲘᲡ „შახტიორს“ პაექრობა ჰქონდა გორკში ადგილობრივ „ვოლგასთან“. მატჩის შედეგია 1:0 „შახტიორის“ სასარგებლოდ.

ᲛᲐᲛᲐᲪᲘ ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔᲔᲑᲘ

მახარაძე. (საკ. კორ.). რაიონის მონადირეთა საზოგადოებამ მინიმუმამდე შეამცირა ბრაკონიერობა. მარტო 1963 წელში რამდენიმე ბრაკონიერი გამოავლინეს და გასამართლეს. ამის შედეგად მნიშვნელოვნად მომრავლდა ტყის მშვენება — შველი, არჩი და სხვა ძვირფასი ჯიშის ცხოველები.

ამასთანავე რაიონის მამაცმა მონადირეებმა გაანადგურეს მტაცებლები. მარტო მონადირე ბ. სიმაინშვილმა წელს 5 დათვი მოკლა. სულ რაიონში 14 დათვი, მრავალი ტურა და სხვა მტაცებელი ნადირი მოსპეს.

სანადირო და სამეურნეო საქმიანობაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის მახარაძეს მონადირეებს საქართველოს სსრ მონადირეთა კავშირის პრეზიდიუმის გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი ჯილდო მიეკუთვნა.

ამ დღეებში საქართველოს მონადირეთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ს. როსტიაშვილმა საზეიმო ვითარებაში გადასცა დროშა მახარაძის მონადირეთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს ვ. ჭინჭარაძეს.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

მდგომარეობა 15 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	გ.	ქ.
„ტორპედო“ (მ.)	18	10	6	2	34—11	26
„დინამო“ (თბ.)	19	10	5	4	24—17	25
ცსკა	19	9	6	4	30—14	24
„შახტიორი“ (დ.)	19	8	8	3	22—14	24
„სპარტაკი“ (მ.)	18	9	4	5	23—13	22
„დინამო“ (კ.)	18	7	8	3	26—17	22
სკა (როსტ.)	18	9	3	6	28—17	21
„დინამო“ (მნ.)	19	4	11	4	8—9	19
„დინამო“ (მ.)	17	5	7	5	16—13	17
„ვოლგა“ (გ.)	20	5	7	8	11—24	17
„კრ. სოვ.“ (კუიბ.)	19	4	8	7	10—21	16
„ნეფტიანიკი“ (ბ.)	19	5	5	9	13—19	15
„ზენიტი“ (ლ.)	19	5	5	9	17—25	15
„შინიკი“ (იარ.)	19	4	7	8	14—29	15
„კაირატი“ (ალმ.)	18	4	6	8	15—19	14
„ტორპედო“ (ქ.)	19	5	3	11	9—28	13
„მოლდოვა“ (კიშ.)	18	4	3	11	10—22	11

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ

სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში დასკვნითს ფაზას მიუახლოვდა. 206 კოლექტივიდან მის რიგებს მხოლოდ რვამდე გუნდი შერჩა. უკანასკნელ მეოთხედფინალისტს გამოავლენს დღევანდელი მატჩი მოსკოვში დედაქალაქის დინამოელებსა და მათს თბილისელ თანაკლუბელთა შორის.

მრავალი წლის მანძილზე პირველი შემოსვლაა, როდესაც მეოთხედფინალში „ბ“ კლასის ვერცერთ წარმომადგენელს ვერ ვხედავთ. რაც შეეხება „ა“ კლასის მეორე ჯგუფის 26 გუნდიდან (გომელის „სპარტაკს“ გათამაშებაში მონაწილეობა არ მიუღია) მეოთხედფინალში მხოლოდ ვილნიუსის „ჟალგირისი“ გავიდა, რომელიც 30 აგვისტოს მოსკოვში ადგილობრივ სპარტაკს შეხვდება.

თუ სად უნდა ითამაშონ გუნდებმა, ეს დამოკიდებულია იმაზე, მეტოქეებს რამდენი მატჩი აქვთ ჩატარებული მოწინააღმდეგისა და საკუთარ მოედანზე. ეს რიცხვები თუ თანაბარი აღმოჩნდა, მაშინ საკითხი გადაწყდება წილისყრით.

ᲒᲣᲚᲘᲡ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲐ

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საბჭოთა ქირურგები დაძაბულად მუშაობდნენ გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის დარგში. ამ მუშაობაში თანმიმდევრობით ჩაებნენ: კლინიკა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, პროფესორ პეტრე კუპრიანოვის კლინიკა, ალექსანდრე ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის პროფესორ ბორის პეტროვსკის კლინიკა, პროფესორ ნიკოლოზ ამოსოვის კლინიკა და, ბოლოს, გულ-სისხლძარღვთა ადლად შექმნილი ინსტიტუტი, რომელსაც პროფესორი სერგი კოლესნიკოვი ხელმძღვანელობს. ამ წამყვან დაწესებულებათა შემდეგ გულ-სისხლძარღვთა ქირურგიამ განვითარება იწყო საბჭოთა კავშირის ბევრ სხვა კლინიკასა და დიდ საავადმყოფოში. ამჟამად უკვე 182 დაწესებულებაში წარმობს გულისა და მსხვილ სისხლძარღვთა ოპერაციები, მათ შორის რთული სარეკონსტრუქციო ოპერაციები და გულის სარქველთა ქროთეზირება.

გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტში, დაწყებული 1952 წლიდან, შესრულებულია მიტრალური მანკის ორნახევ